ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## საზარელი მკვლელობა თბილისში

25 წლის ქალს ქმრისა და 5 წლის შვილის მკვლელობა ბრალდება გვ.6







მაგდა პაპიძე დანაშაულს არ აღიარებს

ორშაბათი, 21 დეკემბერი, 2015 №299 (6919) ფასი: 50 თეთრი

# კარლო კოპალიანი: „ნაციონალებს ენდიაის კი არა, სამედიცინო კვლევაც ვეღარ უშველის“

გვ.4



„კიდევ ერთხელ ვეკითხები მინაშვილს: დოქსოპულო, შენ დედა გყავს?!“



## „ივანიშვილის მთავარი თავსატეხი ნარმანიაა“



„დავით სერგეენკო მთავრობაში ძლიერი რგოლია“ გვ.3

## მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი

„მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში“ გვ.2








## ნათია კორკოტაძე: „ნაციონალებმა პოლიტპატიმარ ლევან ფხაკაძის გადაბირება ცადეს“



გვ.5

## ყაზახები სააკაშვილს აკიმობას სთავაზობენ

გვ.7



ISSN 1987-9385

# მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი

## „მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში“

**გასული კვირის ბოლოს ევროკომისიამ საქართველოს მიმართ ვიზალიბერალიზაციის თაობაზე დადებითი დასკვნა გამოაქვეყნა.**

**საინტერესოა, რა მოლოდინი ჰქონდა საზოგადოებას დასკვნის გამოქვეყნებამდე.**

„ქართული ოცნების“ საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელი დიმიტრი ცქიტიშვილი მიიჩნევდა, რომ ეს დასკვნა საქართველოსთვის დადებითი იქნებოდა.

მისი თქმით, ევროკომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე ახალ, მნიშვნელოვან ეტაპზე გადავა.

– დღეს პრემიერმაც განაცხადა, რომ არაოფიციალურად მან მიიღო შეტყობინება და, პრინციპში, მოგვილოცა. დღევანდელი ოფიციალური განცხადება, დარწმუნებული ვარ, ამას დაადასტურებს. ამით, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ეს ერთი ეტაპი დასრულდა და ჩვენ ევროინტეგრაციის ახალ, მნიშვნელოვან ეტაპზე გადავალთ, – განაცხადა დიმიტრი ცქიტიშვილმა.

მისი აზრით, ვიზალიბერალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ადამიანებს, საზოგადოებას ერთმანეთთან ექნება კავშირი, რაც ქართველი საზოგადოების გაევროპელებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

– ეს უზარმაზარი ნაბიჯია, რომელიც ქართული სახელმწიფოს განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი იყოს, – აღნიშნა ცქიტიშვილმა.

დადებითი მოლოდინი ჰქონდა პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესაც.

– ფრთხილი ოპტიმიზმის რეალური საფუძველი არსებობს, ამიტომ დადებითი შეფასების მოლოდინი მაქვს, მით უმეტეს, რომ ეს ეტაპი მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს ეხება. ჩვენ ყველა ის დავალება, რისი ვალდებულებაც გვქონდა, გადაჭარბებით შევასრულეთ. მეორე ეტაპი, რომელიც უფრო პოლიტიკური ეტაპია შედარებით რთულია. ამიტომ წინასწარ არ უნდა ავჟიტირდეთ, – განაცხადა სოსო ცინცაძემ.

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ:

– ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებით, ევროკომისიის დავალებები შესრულებულია, რამდენად კარგად არის შესრულებული, ამას დასკვნა გვიჩვენებს. ეს ანგარიში ხელისუფლების მუშაობის შესაფასებლად ქვეყნდება. რადგან შედეგებმა აქამდე მოაღწია, ანგარიშის დასკვნა, სავარაუდოდ, დადებითი უნდა იყოს.

პოლიტოლოგი ვანო ჩხიკვაძე აცხადებდა, რომ დასკვნის შესახებ დადებითი მოლოდინი არსებობდა.

– დადებითი დასკვნის მოლოდინი არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ნაკისრი ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს ჰქონდა, კარგად არის შესრულებული. ამის შესახებ არაერთხელ აღინიშნა, როგორც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლების მხრიდან.

დავალებები ორ ნაწილად იყოფოდა, ერთი საკანონმდებლო და მეორე აღმასრულებელ საკითხებად. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწილი ხელისუფლებამ შეასრულა, – განაცხადა ვანო ჩხიკვაძემ.

ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ კახა გოგოლაშვილს ჰქონდა მოლოდინი, რომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში დადებითი იქნებოდა.

– ცნობილია, რომ ევროკომისია დადებით დასკვნას გამოაქვეყნებს და ევროკავშირს მისცემს რეკომენდაციას, რომ საქართველოს უვიზო რეჟიმის შესაძლებლობა ჰქონდეს.

ჩვენ მოვისმინეთ ევროკავშირის რამდენიმე წარმომადგენლის განცხადება, სადაც ისინი საუბრობდნენ, რომ საქართველოში განხორციელებული რეფორმებით კმაყოფილნი არიან.

არ არის გამორიცხული, რომ ანგარიშში რამდენიმე შენიშვნაზეც იყოს საუბარი, მაგრამ საერთო დასკვნაზე ეს მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. საქართველოს მთავრობამ დიდი







სამუშაო შეასრულა, უწყებები ძალიან შეთანხმებულად თანამშრომლობდნენ და, საბოლოო ჯამში, მოახერხეს კარგი შედეგის ჩვენება, – განაცხადა გოგოლაშვილმა.

◆ ◆ ◆

ევროკომისიის მიერ დადებითი დასკვნის გამოქვეყნებას ქართული პოლიტიკური ელიტა დიდი სიხარულით შეხვდა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროკომისიის ანგარიშს მიესალმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განცხადება გაავრცელა.

– მივესალმები ევროკომისიის ანგარიშს ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულად ასახავს იმ პროგრესს, რომელსაც საქართველომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიაღწია, – ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოს მთავრობამ და ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევით უმოკლეს ვადებში შეძლეს სრულად დაეკმაყოფილებინათ ყველა ის მოთხოვნა, რასაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა.

– ამ ერთიანობამ ქვეყანას მოუტანა ის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილებისთვის, – აღნიშნულია განცხადებაში.

მარგველაშვილის თქმით, დღეიდან ჩვენ წინ გველის საპასუხისმგებლო პროცესი, რომელიც ევროკავშირის მიერ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით უნდა დაგვირგვინდეს, რომელიც ოფიციალურად გახსნის ევროკავშირის საზღვრებს საქართველოს მოქალაქეებისთვის.

– ჩვენი ამოცანაა, ღირსეულად გავიაროთ ეს პროცესი და ძალისხმევა არ დავიშუროთ დასახული მიზნის მაქსიმალურად მოკლე ვადებში მისაღწევად. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკური ძალები და საზოგადოება იქნება კვლავაც ერთიანი ჩვენი ევროპული არჩევანის ხორცშესხმისთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი არჩევანი ევროპული არჩევანია, ევროპა ჩვენი კეთილდღეობა და პროგრესია.

– მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში! მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, კვლავაც აქტიურად ვიქნები ჩართული ყველა იმ პროცესში, რომლებიც ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზებას უკავშირდება, – აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

◆ ◆ ◆

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას ევროკომისიის დადებითი დასკვნა მიულოცა და განაცხადა, რომ დღეს საქართველოსთვის ისტორიული დღეა.

პრემიერის თქმით, კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები.

– სულ ცოტა ხნის წინ ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად ველოდით. კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განხორციელდა. ეს არის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენ უკვე მივაღწიეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას.

– ამის შემდეგ პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი საქართველოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს, – აღნიშნა პრემიერმა.

კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მომდევნო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა.

– ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები ხვალვე აიღებენ ბილეთებს და ევროპაში უვიზოდ გაემგზავრებიან. საბოლოო გადაწყვეტილებამდე გასავლელია ეტაპები, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რამდენიმე თვეს მოიცავს. თუმცა დღეს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

◆ ◆ ◆

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ევროკომისიის დადებითი დასკვნის გამოქვეყნება ასევე ყველას მიულოცა და ამას ქვეყნის აღიარება და სანუკვარი ოცნების ახდენა უწოდა.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენიმე თვე დარჩა, როდესაც საქართველოსა და ევროპას შორის საზღვარი აღარ იარსებებს.

– ეს ჩვენი ქვეყნის დიდი გამარჯვებაა. ეს არის დიდი აღიარება ჩვენი ქვეყნის და ჩვენი სანუკვარი ოცნების სერიოზული ნაწილის ახდენა. დღეს უფრო ევროპელები ვართ, ვიდრე ვიყავით გუშინ. ჩვენ ყოველთვის ასე ვფიქრობდით, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ევროპაც ასე ფიქრობს და სულ რამდენიმე თვე დარჩა იმ ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად, როდესაც საქართველოსა და ევროპას შორის საზღვარი აღარ იარსებებს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, ეს არის ძალიან დიდი გამარჯვება დღევანდელი მთავრობის, გუშინწინდელი ხელისუფლების, თითოეული ჩვენგანის.

– ამიტომ თითოეულ მოქალაქესა და პოლიტიკოსს ვულოცავ, მიუხედავად იმისა, გუშინ და გუშინწინ სხვა თემებზე ვინ რას ფიქრობდა და როგორ ფიქრობს. ამ მიღწევას სათანადო გამოყენება სჭირდება იმიტომ, რომ ევროპასა და საქართველოს შორის საზღვრების გაუქმება არის არა მხოლოდ გადაადგილების თავისუფლება, ეს არის მნიშვნელოვანი სიმბოლური მოვლენაც, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი აზრით, ამის შემდეგ ჩვენ გაცილებით უფრო მეტად უნდა ვიტვირთოთ ის პასუხისმგებლობაც, რაც ევროპას აკისრია. ჩვენ ერთად უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი საერთო უსაფრთხოება.

– ასე რომ, დღევანდელი დღე, მგონი, არის ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი. ამასთანავე, ვისაც ვიზები გაქვთ პასპორტებში, გირჩევთ, არ ამოხიოთ, იმიტომ, რომ რამდენიმე თვე კიდევ დასჭირდება ამ საკითხების ბოლომდე მიყვანას. მაგრამ 2016 წელი ამ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენით იქნება ხაზგასმული ჩვენს ცხოვრებაში. გისურვებთ ყველას მეტ წარმატებას ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# თინა ხიდაშელი რუსეთისგან მყისიერ საფრთხეს არ ელის

## „მუდმივად სურთ, პანიკის რეჟიმში გვამყოფონ“



პანიკის რეჟიმში ყოფნის მცდელობას უწოდებს თავდაცვის მინისტრი რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, რუსული სპეცსამსახურები საქართველოში ტერორიზმში ეჭვმიტანილ გოგონას ეძებენ, რომელიც რუსეთში თავდასხმების განხორციელებას გეგმავს.

– მე არ ველოდები რაიმე მყისიერ საფრთხეს. რატომ ხდება ეს ყველაფერი, ამაზე ჩვენ ყველას პასუხი გვაქვს – მუდმივად უნდათ გვამყოფონ პანიკისა და საშინელების მოლოდინის რეჟიმში. ეს არის ამოცანა. ჩვენი ამოცანა პირიქით არის, რომ არ ავყვეთ ამას, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელი პუტინის მიერ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებულ განცხადებასაც გამოეხმაურა, მინისტრი ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტის ეს ინიციატივა ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის საკითხს უკავშირდება.

– დაუწესეს საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი, შემდეგ საბარგო თვითმფრინავით გამოისტუმრეს იქიდან. ასევე ერთი ხელის მოსმით შეუძლიათ გააუქმონ ეს გადაწყვეტილება. მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ევროკავშირმა გაგვიუქმა სავიზო რეჟიმი, – აცხადებს ხიდაშელი.

**ნიუსპოსტი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ივანიშვილის მთავარი თავსატეხი ნარმანიაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობას-თან“ ინტერვიუში 2015 წლის პოლიტიკურ მოვლენებს აჯამებს. პოლიტოლოგი ხელისუფლების სუსტ და ძლიერ მხარეებზე საუბრობს.

**სოსო ცინცაძე:**

ამ წლის მიღწევად შეიძლება ჩავთვალოთ ვიზალიბელარიზაცია. ევროპისკენ ქვეყანამ ერთი ნაბიჯი გადადგა. ამის შეუფასებლობა და დაუნახაობა შეუძლებელია, მაგრამ ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლის მნიშვნელობა დღეს ცოტა გაფერმკრთალებულია.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ხელმომჭირნედ ცხოვრობს და საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობა არ აქვს. სულ სხვა დატვირთვა და მნიშვნელობა ექნებოდა მას, თუ რიგითი პენსიონერი შეძლებდა თავისი ფულით ლუვრის მოსანახულებლად წასვლას. არათუ პენსიონერი, ბევრი რიგითი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდაც კი ვერ შეძლებს ამ სიკეთით სარგებლობას.

მიუხედავად ამისა, ექსპერტი არ აკნინებს ევროკავშირში, შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის მნიშვნელობას.

– ეს არის პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება და ამას დიდი დატვირთვა აქვს. როდესაც პირველად ჩავა ევროპაში ადამიანი, ის სულ სხვა ემოციებით დაბრუნდება, სულ სხვა რეალობას აღმოაჩენს, თუნდაც ყოველდღიური ცხოვრების წესს ნახავს, როგორი უნდა იყოს.

***– ფანჯრიდან ნაგვის გადაყრასა და წითელზე გავლას გულისხმობთ?***

– დიახ. ჩემს მაგალითზე შემიძლია გითხრათ – მანქანა ეზოში მიყენია და ყოველ დილით სიგარეტის ნამწვავებითაა სავსე. თუ ზაფხულია – პომიდვრებითა და დამპალი ხილით. ევროპელს სისხლში აქვს, რომ სიგარეტის ნამწვავი არათუ ფანჯრიდან არ მოისროლოს, თუ მოსაწევი ადგილი არ არის, იქ არც მოსწიოს. რაც შეეხება წითელ შუქნიშანზე გადასვლას, მანქანის ტროტუარზე დაყენებას, თუ შავ ჯიპზე ზიხარ, კაცი ხარ და თუ ფეხით გადაადგილდები, არაფერს წარმოადგენ. ეს მენტალიტეტი უნდა დავანგრიოთ. როდესაც ნახავ, რომ შეუძლებელია, ეს პარიზში გააკეთო, რომში გააკეთო, მერე, ალბათ, არც თბილისში გააკეთებ.

სოსო ცინცაძე უცხოეთში პირველ წასვლას იხსენებს.

– პირველად ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დროს ვიყავი და ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ქუჩაში მოღიმარმა, მხიარულმა ადამიანებმა მოახდინეს. იქ მოხუცი ადამიანიც კი არ მინახავს შეწუხებული სახით. დარწმუნებული ვარ, გაივლის გარკვეული დრო და ეს მაინც იქნება ხელშესახები მიღწევა ჩვენი ქვეყნისთვის.

***– წლის უარყოფით მოვლენად რა შეგიძლიათ დაასახელოთ?***

– ალეკო ელისაშვილის ბრალდება ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ. ეს ბრალდება, რანაირადაც არ უნდა გამოძვრეს ხელისუფლება, იქნება დიდი დაღი მისთვის. ეს არის სკანდალი, რომელიც სულ უფრო ღვივდება. ამიტომ ხელისუფლება უნდა ეცადოს, არათუ მიჩქმალოს, არამედ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ამომრჩევლებს არც ერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეთ, მაგრამ აქეთკენ არ მიდის საქმე.



**„დავით სერგეენკო მთავრობაში ძლიერი რგოლია“**

2015 წლის მეორე უარყოფით მოვლენად პოლიტოლოგი ლარის კურსის კატასტროფულ ვარდნასა და ცხოვრების გაძვირებას მიიჩნევს.

– რა გააკეთა ამის საწინააღმდეგოდ ხელისუფლებამ – პენსია გაზრდა 10 ლარით, მაგრამ ეს მხოლოდ სასაცილოა იმ კურსთან შედარებით, რომელიც დღეს გვაქვს ლარის მიმართ, – ამბობს სოსო ცინცაძე.

მისთვის გამოცანად რჩება, პენსიონერები რითი ცხოვრობენ.

– ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ადამიანების იმედგაცრუება უნივერსალური მახასიათებელია, როდესაც მოსახლეობას მომავლის რწმენა აღარ აქვს და მხოლოდ საკუთარ სამზარეულოში, ჩაკეტილ სივრცეში ბუზღუნებს. ევროპაში ოდნავ ფასების ზრდაზეც კი ქუჩაში მილიონიანი მარშები იმართება. მთავრობაც და კერძო კომპანიებიც იძულებულები არიან, ამას ანგარიში გაუწიონ. ცივილიზებული პროტესტი, რომელიც ბრბოს ხალხის მასისგან განასხვავებს, ჩვენთან არ არსებობს.

***– არაერთი ცივილიზებული პროტესტი იყო თბილისში.***

– ეს იყო პოლიტიკური პროტესტი და არა, მაგალითად, ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის წინააღმდეგ გამართული დიდი აქცია.

***– ამ მთავრობის ყველაზე სუსტი რგოლი ვინ არის?***

– დედაქალაქის მერი. უგულავა, როგორც მერი, არ ვარგოდა, მაგრამ მასზე უარესი მერი მოვიდა, მე ვგულისხმობ, როგორც მეურნეს. პირველ რიგში, ქალაქის მერი მეურნე უნდა იყოს და არა – პოლიტიკოსი, მან უნდა იცოდეს, რომელ ქუჩაზე რომელი მილი გადის. ნარმანია იქცა მთელი ხელისუფლების ყველაზე დიდ პრობლემად. დღეს ბიძინა ივანიშვილის მთავარი თავსატეხი ნარმანიაა.

სოსო ცინცაძეს არც საარჩევნო კანონმდებლობა მოსწონს.

– ვერა და ვერ შეძლო ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ვერც ერთმა მთავრობამ, რომ ქვეყანას ჰქონდეს კარგი საარჩევნო კოდექსი. ხომ არ შეიძლება, 30 წელი მუდმივი რეფორმების ფონზე ვიცხოვროთ. დღეს ხელისუფლება გვეუბნება, კარგია, მაგრამ ამ ცვლილებას 2020 წლისთვის განვახორციელებთო.

***– ძლიერი მინისტრი ვინ არის? ვის მუშაობას შეაფასებდით დადებითად?***

– დავით სერგეენკოს მუშაობას შევაფასებდი დადებითად. შეიძლება ითქვას, ეს უკვე ტრადიციად იქცა, ყველა სერგეენკოს ასახელებს, მაგრამ ასეა ნამდვილად. ჯანდაცვის სამინისტრო დღეს მთავრობაში ძლიერი რგოლია. შეუძლებელია, ცე ჰეპატიტის პროგრამაზე არ გაამახვილო ყურადღება. ამ სიკეთით უამრავი ადამიანი გადარჩა, მაგრამ აქვე შეუძლებელია არ ვთქვა მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით.

***– მედიკამენტის ფასს ხომ კერძო კომპანია ადგენს?***

– ნუთუ არაფერი ბერკეტი აქვს ჯანდაცვის სამინისტროს წამლების კატასტროფული გაძვირების შესაკავებლად? მახსოვს, ბიძინა ივანიშვილმა სავსებით სამართლიანად როგორ შეუტია პეესპესა და ავერსის ხელმძღვანელებს, რომ როგორმე საფასო პოლიტიკა ყოფილიყო ადეკვატური. ასეთი მაღალი ფასები, წამლებზე რომ არის, არ მგონია, კიდევ სადმე იყოს. ეს ხომ ჩვენს მოსახლეობას აწვება, საუბარია მედიკამენტებზე და არა – ფუფუნების საგანზე. თუმცა ივანიშვილის შეძახილი მათთვის შეძახილად დარჩა. მე ვურჩევდი ჯანდაცვის მინისტრს – მას არ აძლევს კანონი ფასების რეგულირების შესაძლებლობას, მაგრამ მოითხოვოს კანონის შეცვლა.



# ჯონდი ბაღათურია: „ვიზალიბერიზაციის პროცესი რუსეთმა გაგვიმარტივა“

**ვიზალიბერალიზაციის პროცესს საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამ საკითხს ეჭვის თვალით უყურებენ.**

**„ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიას ეჭვი ეპარება, რომ რუსეთთან და ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის საკითხმა ხელისუფლების მიმართ ამომრჩევლის ნდობა აღადგინოს.**

ნონა ცაბაძე

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– ეს არის საბოლოოდ დამსხვრეული იმედები და მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ამ ნდობის აღდგენა შეუძლებელია, რადგან ხელისუფლებამ პრაქტიკულად არცერთი დანაპირები არ შეასრულა.

***– ბატონო ჯონდი, საზოგადოება თანხმდება, რომ ვიზების ლიბერალიზაციის საკითხი საკმაოდ სერიოზული მოვლენაა.***

– რუსეთთან ვიზების ლიბერალიზაცია ხელისუფლების დამსახურება არ არის.

***– აბა, ვისი დამსახურებაა?***

– ეს არის რუსეთის ხელისუფლების კეთილი ჟესტი.

***– თუმცა მოვისმინეთ შეფასებები, რომ რუსეთი ევროპას ეჯიბრება ამ საკითხში და ამიტომ დაამთხვია ვიზების გამარტივება ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას.***

– იქნებ ევროპამ დაამთხვია რუსეთის გადაწყვეტილებას?! ეს ხომ არ ვიცით. თუ ერთმანეთს შეეჯიბრებიან დასავლეთი და რუსეთი ქართველების გულის მოგებაში, ამაში ცუდი რა არის? თუმცა ჩვენ ხომ რეალურად პოლიტიკა არ გვაქვს. ხელისუფლება მიილტვის, რომ ქვეყანა ჩააბაროს მთლიანად ამერიკელებს. უხარია, რომ მისგან დაპყრობილია. ჩვენ ამისკენ არ მივილტვოდით!

***– ამბობთ, რომ ხელისუფლებას დაკარგული აქვს ნდობა, თუმცა ექსპერტები ვერც მის შემცვლელს ხედავენ ამ ეტაპზე. არ გამართლდა მოლოდინი და არ გამოჩნდა მესამე ძალაო, გვესმის შეფასებები. ამას რით უპასუხებთ?***

– ექსპერტები ნაადრევად აკეთებენ დასკვნებს. ჩვენ ვმუშაობთ კულუარებში და ძალიან მალე მოხერხდება ისეთი ძალის ფორმირება, რომელიც ჩაანაცვლებს სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც!

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ვიზალიბერალიზაცია ხელისუფლების მორიგი ტყუილია.

***– ტყუილში რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ არანაირი რეალური ვიზალიბერალიზაცია არ მომხდარა.

***– აბა, რა მოხდა?***

– ეს არ არის სასწავლო ვიზალიბერალიზაცია! ანუ ქართველ ახალგაზრდებს არ ეძლევათ საშუალება,



ისწავლონ ევროპულ უნივერსიტეტებში. მათ ამ მხრივ ვიზები არ გამარტივებიათ. ასევე ეს არ არის შრომითი ვიზალიბერალიზაცია, რომ ადამიანი წავიდეს და იქ იმუშაოს. ხალხს მხოლოდ მოკლევადიანი ჩასვლის უფლება მისცეს. ქართველების 80% კი ძირითადად იქ იმისთვის მიდის, რომ მძიმე სამუშაოებზე იმუშაოს და ისე არჩინოს ოჯახი და სახელმწიფო!

– თუმცა საპირისპირო შეფასებებიც მოვისმინეთ, შრომითი ვიზების უფლება რომ მოეცათ, დაიცლებოდა მთელი საქართველოო.

– ვინმე ფიქრობს, რომ ევროპელებმა საქართველოს არდაცლაზე იზრუნეს და ამიტომ არ მოგვცეს შრომითი ვიზები?! ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, ევროპა როგორ უყურებს საქართველოს, როგორი უპატივცემულო დამოკიდებულება აქვს, ამ ფონზე კი როგორ მუდმივად ატყუებს ხელისუფლება მოსახლეობას და როგორ სპეკულანტობს ევროპითა და ამერიკით.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ხელისუფლებამ უპასუხისმგებლო ცუნდრუკით გამოფინა დროშები და ისეთი ამბავი ატეხა, ვითომ დედამიწა ახლა შეიქმნა.

– რუსეთმა რომ გაგვიმარტივა, რეაქცია არ ჰქონდათ, ლამის აქეთ გალანძღეს რუსეთი, – აცხადებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი.

***– ბატონო ჯონდი, რუსეთთან სულ სხვა დამოკიდებულებაა. ყველა ფიქრობს, რომ ის დამპყრობელია.***

– ეს ტყუილია, რომ რუსეთთან ასეთი დამოკიდებულებაა! ძალიან გთხოვთ, ნუ აჰყვებით ამ სიცრუის მანქანას!

***– რა არის სიცრუის მანქანა, რუსეთი რომ დამპყრობელია?***

– საზოგადოებაში არ არის ასეთი დამოკიდებულება! საქართველოში არის ორი რეალობა. ერთი არის ის რეალობა, რომლითაც ხალხი ცხოვრობს, ხალხი მხარს უჭერს რუსეთთან მეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას და მეორე რეალობა არის ვირტუალური რეალობა, რომელსაც ამერიკელებისგან ტოტალურად კონტროლირებად ტელევიზიაში ვხედავთ, ასევე მათ მიერვე კონტროლირებად არასამთავრობო სექტორსა და პოლიტიკურ პარტიებში. ეს ადამიანები სრულ სიცრუეს ტირაჟირებენ.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ „ოცნებას“ ვეღარაფერი უშველის, თუმცა ამბობენ, რომ საკუთარი გუნდის გადასარჩენად ივანიშვილი კვლავ შემოდის ქართულ პოლიტიკაში. ეს ოპოზიციას გზებს არ გიჭრით?***

– ივანიშვილმა თქვა, ღმერთმა ნუ ქნას, მე პოლიტიკაში დაბრუნება დამჭირდესო. ამას მეორედ მოსვლას ვეძახიო. ე.ი. იმდენად კატასტროფული მდგომარეობაა, რომ ის კვლავ ბრუნდება პოლიტიკაში. გამოდის, რომ მთლიანად გაკოტრებულია მისი გუნდი.

***– არ იმუშავებს მისი ფაქტორი?***

– რასაკვირველია, მისი ფაქტორი იმუშავებს, თუმცა მის მიმართაც არის საზოგადოების დიდ ნაწილში დაკარგული ნდობა ასეთი გუნდის ფორმირების გამო. როდესაც ხალხი მიდიოდა არჩევნებზე, მაშინ ივანიშვილს არ უთქვამს ხალხისთვის, რომ უსუფაშვილს პარლამენტის თავმჯდომარედ დაუნიშნავდა და ხიდაშელს – თავდაცვის მინისტრად.

***– რას ერჩით მათ?***

– ასეთი ადამიანების ადგილი სამარცხვინო ბოძზეა. ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და შემოგვაპარეს, ხელში შემოგვაჩეჩეს ხიდაშელი და უსუფაშვილი! ივანიშვილის ფაქტორი, ალბათ, მაინც იმუშავებს, მაგრამ არა ისე, როგორც 2012-ში!

# კარლო კოპალიანი: „ნაციონალებს ენდიაის კი არა, სამედიცინო კვლევაც ვეღარ უშველის“

**რატომ ზეიმობდნენ ნაციონალები წინასწარ ენდიაის კვლევებს, რა ტიპის კვლევები სჭირდებათ მათ სინამდვილეში, რა ცოდვას აღიარებს „ქართული ოცნება“? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**

შორენა მარსაგიშვილი





**„კიდევ ერთხელ ვეკითხები მინაშვილს: დოქსოპულო, შენ დედა გყავს?!“**

**კარლო კოპალიანი:**

– რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ენდიაი მორიგი კვლევის შედეგებს 21 დეკემბერს გაასაჯაროებს. ნაციონალებმა წინასწარ მოაწყვეს ზეიმი და ხარობდნენ ჯერაც გამოუქვეყნებელი კვლევების შედეგებით. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა უხაროდა ყოფილ ხელისუფლებას, შემთხვევით ერთმანეთთან ხომ არ არიან შეკრული ანდა წინასწარ ხომ არ მიაწოდეს მათ ინფორმაცია?

ჩვენ, „ქართულ ოცნებას“, ამ კვლევების შედეგები არ გვაინტერესებს და არა მარტო იმიტომ, რომ არ ვენდობით. ვიცით, რომ ნაციონალებს ეს კვლევა ვერ უშველის. ისინი ცოტა სხვა ტიპის კვლევებს საჭიროებენ.

***– სხვა ტიპის კვლევაში რას გულისხმობთ?***

– რას და სამედიცინო კვლევა სჭირდებათ მაგათ, თუმცა ეჭვი მეპარება, მაგანაც რაიმე შედეგი მოუტანოს. ენდიაის კვლევები ჩვენთვის არაფერს ნიშნავს, სამწუხარო ისაა მხოლოდ, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ამერიკას და ამ არაობიექტური შედეგების გამო მოსახლეობამ შესაძლოა ცუდი თვალით შეხედოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს.

***– არჩევნების წინ ასეთი კვლევების გამოქვეყნება არჩევნების შედეგებზე გავლენას არ იქონიებს? ხშირად ისმის ისეთი მოსაზრებები, რომ ხალხს წინასწარ აგუებენ არჩევნების შედეგებს.***

– რა გავლენა უნდა იქონიოს? 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდს გავიხსენებ, მაშინაც გამოქვეყნდა კვლევები. ნაციონალებს 60% ჰქონდა, ხოლო ჩვენ რაღაც საცოდავი პროცენტები დაგვიწერეს. შედეგი იყო რადიკალურად განსხვავებული. აქედან გამომდინარე, ენდიაის სანდოობის კოეფიციენტი გაუტოლდა ნულს.

***– იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ მმართველი გუნდის რეიტინგი მკვეთრად დაეცა?***

– ვარდნა იყო, მაგრამ მკვეთრად არ დაცემულა. ჩვენი პოპულარობის კლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ამდენს ლაპარაკობს. ჩვენ არ ვართ ის ძალა, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მეთოდებით მართავს ქვეყანას. ხალხს, ალბათ, ეგონა, რომ ჩამოვუვლიდით და ნაციონალებს გავუშვებდით ციხეში.

***– ხალხს რატომ ეგონა, დაპირება გქონდათ, რომ სამართლიანობას აღადგენდით.***

– კი ბატონო, დავპირდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ყველას ციხეში შევყრიდით. უამრავი სარჩელია შესული პროკურატურაში და ამ საქმეებს გამოძიება სჭირდება. 3 წელი საკმარისი არ აღმოჩნდა ამ საქმეების შესასწავლად, მაგრამ წინ კიდევ არის დრო და გამოძიება გაგრძელდება. დამნაშავეები აუცილებლად აგებენ პასუხს. ჩვენ გამოძიების შედეგებს ველოდებით და ესაა, ჩვენს რეიტინგს რომ ამცირებს. ნაციონალებისთვის დედა რომ გვეტირა, სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგრამ ეს გზა რომ აგვერჩია, ნაცმოძრაობა 2 ვიქნებოდით.

ესაა ჩვენი მინუსი, სხვა მხრივ კარგად მიდის საქმეები. ჩვენს ხელისუფლებას სწორი კურსი რომ არ ჰქონოდა, ვიზალიბერალიზაციას ვერ მივიღებდით. ეს დიდი წარმატებაა, რომელიც დედამიწის ზურგზე 2 სუბიექტს ეწყინა. ესენი არიან ნაცმოძრაობა და პუტინი.

***– პუტინს, ალბათ, მართლაც ეწყინებოდა, მაგრამ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს რატომ უნდა სწყენოდათ?***

– ამ პარტიის ლიდერები ჩადიოდნენ ევროსტრუქტურებში და იხვეწებოდნენ, საქართველოს არ მისცეთ ვიზალიბერალიზაციის პროგრამაო.

***– თქვენი კოლეგა ნაცმოძრაობიდან კობა სუბელიანი ამბობს, რომ ვიზალიბერალიზაცია საქართველომ სააკაშვილის მიერ გატარებული რეფორმების წყალობით მიიღო. ამაზე რას იტყვით?***

– კობა სუბელიანის განცხადებაზე როგორ შეიძლება კაცმა სერიოზული კომენტარი გააკეთოს. სუბელიანი 4 წელი იყო მინისტრი და ამ პერიოდის განმავლობაში 4 კაცს არ შეხვედრია.

ახლა ამ წარმატების მიღწევის დაბრალება მოინდომეს, მათი ნამუშევარი რაც იყო, ზემოთ მოგახსენეთ. დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი იხვეწებოდნენ, უვიზო მიმოსვლა არ მისცეთ საქართველოსო. ბოლო პერიოდში მათ ჩიორაც დაემატა. ჩვენდა საბედნიეროდ. ევროპა თეთრსა და შავს კარგად არჩევს და ამათ პროვოკაციებს არ აჰყვნენ.

***– აკო მინაშვილიც უვიზო მიმოსვლას უშლიდა ხელს, პარლამენტის სხდომაზე რომ მოუშალეთ ნერვები?***

– მხედველობაში თუ ის გაქვთ, რომ ვკითხე, დედა გყავს-მეთქი, ეგ სხვა ამბავია. მინაშვილი სანამ რამეს იტყოდა, გამოვიდა სერგო რატიანი და „ქართული ოცნება“ პატიმრების წამებაში დაგვადანაშაულა. მის შემდეგ გამოვიდა აკო, რომელიც კონტექსტიდან ამოვარდნილი კაცია და ვირტუალურად ლაპარაკობს ხოლმე. ზოგჯერ საოცარ სისულელეს იტყვის და ამიტომაც ვკითხე: დოქსოპულო, შენ დედა გყავს? ეს კაცი ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი და გაჩუმდა. სამაგიეროდ, გამოვარდა დავით დარჩიაშვილი და განაცხადა, კარლო კოპალიანი ილანძღებაო.

ლანძღვა არ არის ის სიტყვა, რაც მაგათ ჩემგან ეკუთვნით. 2011 წლის 26 მაისს სისხლში ჩამახრჩვეს კინაღამ და ამაზე ხმა არ ამოუღია არავის. მაგათ ჩემგან ბევრი რამ ეკუთვნით, მაგრამ პატივს ვცემ დეპუტატის მანდატს და ვცდილობ, კორექტული ვიყო. ამ კორექტულობის ფარგლებში ვიჯექი, როცა დოქსოპულოს დედა მოვიკითხე.

***– ნაციონალებს შევეშვათ და სხვა პოლიტიკურ ძალებსაც მივხედოთ. არჩევნების წინ კიევის ყოფილმა მერმა ჩერნოვეცკიმ ახალი პარტია დააფუძნა, საარჩევნოდ, ალბათ, კიდევ რამდენიმე გაერთიანებას ვიხილავთ. მათგან თუ შეგექმნებათ რაიმე სერიოზული პრობლემები?***

– ამ ახალ ძალებს სერიოზულად არ აღვიქვამ და არა იმიტომ, რომ ვინმეს ვაკნინებ. ქვეყანას სერიოზული წარმატებები აქვს და სწორი გზით მიდის. ამას ხალხი ხედავს და არჩევნებზეც სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს.

შედეგი კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, შინაურ და გარეულ მტრებს რომ არ შეეშალათ ხელი. გარეშე მტერი არასდროს გვაკლდა, მაგრამ ბოლო ხანებში შინაური მტერი უფრო მოგვიმრავლდა. მათ ბევრი ცუდი რამე გაგვიკეთეს, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს, 2016 წლის ბოლოს კი საერთოდ არაფრის გაკეთება აღარ შეეძლებათ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ 2016 წლის არჩევნების შემდეგ ნაციონალები საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური სცენიდან. მათთან ერთად გაქრება მათ მიერვე დაქირავებული აგენტურა.

***– რა აგენტურაზე საუბრობთ?***

– ნაციონალების დაქირავებულ და დავერბოვკებულ ევროპელი პოლი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე


## სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თამარ ჩხეიძე: „ვიზალიბერალიზაცია ევროპის დამსახურებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროკომისიის მოხსენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე ამას მიესალმება. ამასთან, ის ფიქრობს, რომ ამაში საქართველოს ხელისუფლებას არანაირი წვლილი არ მიუძღვის.**

**— ამ ნაბიჯით გამოიკვეთა ევროპის სურვილი, საქართველო იყოს ევროპის ნაწილი და ჩამოსცილდეს რუსულ სივრცეს, — აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში თამარ ჩხეიძემ.**

მისი თქმით, დასავლეთი, მათ შორის ევროსტრუქტურები ადეკვატურად ანუ უარყოფითად აფასებდნენ „ქართული ოცნების“ არადემოკრატიულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა მაინც გადადგა ნაბიჯები საქართველოს მისაღებად. თამარ ჩხეიძის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ინსტიტუტები საქართველოს ევროპისკენ ძალით მიაქანებენ.

***— ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ამ ხელისუფლების შესრულებულია, რაც დადებითად შეფასდა.***

— ფორმალურად ასეა. ეს ხელისუფლება ღიად არ ატარებდა პრორუსულ კურსს. ის იძულებული იყო, ანგარიში გაეწია დასავლეთის რეკომენდაციებისა და მოთხოვნებისათვის. დასავლეთმა ისეთი პროცესები წამოიწყო, რომლებსაც საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ვერ გააჩერებდა.

***— რასაც რუსეთიდანაც მოჰყვა გამოხმაურება.***

— მართლაც, სწორ და დასავლურ პოლიტიკას მოჰყვა რეაქცია რუსეთიდან. როგორც კი გაისმა სიგნალები იმის შესახებ, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციას ევროპის სახელმწიფოებთან დაბრკოლება არ შეექმნებოდა, რუსეთმა მაშინვე სიგნალი გამოუშვა — პუტინმა დაიწყო ხაჭაპურების ცხობა. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ საჭიროა მტკიცე ნაბიჯები. საქართველო უნდა იყოს ურყევი და პრინციპული დასავლური კურსის გატარებისას. მაშინ რუსეთი შეეგუება ამას და უკან დაიხევს. ესაა სწორი პოლიტიკა და არა მუდმივი დათმობები და იმის შიში, თუ რა ეწყინება პუტინს.

***— თუ დასავლეთის მიერ დაწყებული პროცესების შეჩერება შეუძლებელია, მაშინ პრორუსული ძალები ვერაფერს გააფუჭებენ.***

— პროცესები დინამიკურად მიმდინარეობს, თუმცა მთლიანად ამგვარი საფრთხის გამორიცხვა არ შეიძლება. რუსეთი აქტიურია. რუსეთის ხელშია სერიოზული ბერკეტები. ამ სახელმწიფოს აქვს ძლიერი პოლიტტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ის ხშირად მართავს პროცესებს საქართველოში.

თამარ ჩხეიძე ამბობს, რომ რუსეთი კარგად იყენებს იმას, რომ მისმა სპეცსამსახურებმა შესანიშნავად იციან ქართული მენტალიტეტი, ის, თუ რაზე რეაგირებს საზოგადოება:

— მათ შესწავლილი აქვთ, რომ შეიძლება საზოგადოების ჯგუფი გამოვიდეს რამდენიმე გეის წინააღმდეგ მაშინ, როცა სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამ რაოდენობის ადამიანებიც არ გამოვლენ. თავის ბერკეტებს რუსეთი საქართველოს არჩევნებშიც იყენებს.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. „ქართული ოცნების“ სათავეში იყო რუსეთიდან მართული ფიგურა, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში ვერ იმარჯვებდა, უზარმაზარი ფულის მიუხედავად. ამიტომ ამოქმედდა პოლიტტექნოლოგიები, გაჩნდა ის კადრები, რომ-



ლებზეც საქართველოს საზოგადოებას მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. რუსეთმა იცის ქართული მენტალიტეტი. გარდა ამისა, ის ფლობს მასალასაც ადამიანების ჯგუფების სახით. ზოგი გავლენის აგენტია, ზოგი — პირდაპირი აგენტი.

***— რამ განაპირობა რუსეთის განცხადებები საქართველოს კონფლიქტების მოგვარების თაობაზე?***

## „რაც უფრო მტკიცე დასავლურ კურსს გაატარებს საქართველო, მით უფრო უკან დაიხევს რუსეთი“

— შიშმა. რუსეთს გაუჩნდა იმის შიში, რომ დაკარგავს გავლენას საქართველოზე. ამ საკითხებზე სიტუაცია ჯერ გამოკვეთილი არ არის. მთავარია, რომ ამას არ მოჰყვეს საქართველოს ხელისუფლების ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული იქნება. მაგალითად, არ უნდა გაფორმდეს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც გარეგნულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენი იქნება, იურიდიულად კი — დამრღვევი.

თამარ ჩხეიძის აზრით, 2015 წელი მნიშვნელოვანი გამოდგა ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, თუმცა, მისი აზრით, ეს იყო მძიმე წელიწადი დემოკრატიის მხრივ.

ამის მაგალითად ის ასახელებს ხელისუფლების შეტევას ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე, რომელიც ყველაზე ეფექტურად ასახავს რეალურ პროცესებს.

— ხელისუფლების ეს მცდელობა დროებით, მაგრამ მაინც მოგერიებულ იქნა, — ამბობს იგი.

ეს წელიწადი, მისი თქმით, უარყოფითი იყო ეკონომიკის კუთხითაც, თუმცა, არის იმედი, რომ ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები დაიძლევა.

# ნათია კორკოტაძე: „ნაციონალებმა პოლიტპატიმარ ლევან ფხაკაძის გადაბირება ცადეს“

**პოლიტპატიმრების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი აქტუალობას დღემდე არ კარგავს. სკანდალში მაღალი რანგის პოლიტიკოსებიც გაეხვივნენ. ბოლო დღეებია, ტრიალებს პოლიტპატიმართა სიაში შეყვანილი ლევან ფხაკაძის გვარი, რომელსაც, როგორც ამბობენ, რეკომენდაცია ეკა ბესელიასთან ია მეტრეველმა გაუწია.**

**„ახალი თაობა“ ლევან ფხაკაძის ადვოკატ ნათია კორკოტაძეს ესაუბრა.**

ნონა ცაბაძე

***— ქალბატონო ნათია, ეს მიზანმიმართული პროცესია თუ მართლაც მოხდა დარღვევები, როდესაც პოლიტპატიმართა სიები დგებოდა?***

— ეს ნამდვილად მიზანმიმართული პროცესია. ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ ამ მნიშვნელოვან საქმეს. რაც შეეხება ლევან ფხაკაძისთვის პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭებას, ეს არის სუფთა პოლიტპატიმრის სტატუსის დებულებაში ჩატეული საქმე. კარგად არის ცნობილი, რაც მოხდა 2007 წელს ლევან ფხაკაძესთან დაკავშირებით.

ეს ეხება ზირაქაძეს, რომელიც გივი თარგამაძის უახლოესი მეგობარი და მისი გარემოცვის წევრია. სწორედ აქედან ჩაერთვნენ ამ პროცესში ნაციონალები.

***— როგორ დაიწყო მათ შორის კონფლიქტი?***

— ფხაკაძეების ოჯახს იმ დროისთვის სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა. როდესაც წამოვიდა პირველი საპროტესტო ტალღა ნაციონალების საწინააღმდეგოდ, ისინი აფინანსებდნენ ოპოზიციურად განწყობილ პარტიას. ამის გამო ლევანის მამას, აკადემიკოს ნ. ფხაკაძეს პრობლემა შეუქმნეს.

ადვოკატი ამბობს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად გამოჩნდა ლელა კილაძე, გიგი უგულავას ახლანდელი მეუღლე, მიხეილ სააკაშვილის პირადი ვიზაჟისტი.

— 100.000 დოლარის სანაცვლოდ პრობლემას აცილებდნენ ლევანის მამას. მათივე დახმარებით ჩაადებინეს წყნეთის სახლი ბანკში და წაიღეს თანხა, ასევე მერსედესის ჯიპიც წაიყვანეს. მაგრამ საქმე არ დაამთავრეს და საბოლოო საქმის დამთავრებისთვის შესთავაზეს ლევანს მათ გუნდში თანამშრომლობა, — აცხადებს ადვოკატი.

მისი თქმით, საქმე ეხებოდა წართმეული ბიზნესის გადაფორმებას.

— ლევანი საერთოდ ჩამოშორდა ამ ხალხს, დატოვა სამსახური თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ სულ მალე ლევანი სხვა გათამაშებული სცენარის მსხვერპლი გახდა, — აღნიშნავს ნათია კორკოტაძე.

მისი თქმით, მიხეილ ზირაქაძე წლობით მუშაობდა იურისტად გივი თარგამაძის ძმის



კომპანიაში. მისი და, თამარ ზირაქაძე, შემდგომში კარბელაშვილის შტაბის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი, ასევე ემსახურებოდა ნაციონალებს და ასრულებდა მათ დაკვეთებს.

— თამუნა ზირაქაძე შემოუგდეს ლევან ფხაკაძეს. იგი კაფეში გამოეცნაურა ლევან ფხაკაძეს, რომელსაც იმ დროისთვის მეუღლე და 3 წლის შვილი ჰყავდა. დაახლოების შემდეგ თამუნამ შესთავაზა ლევანს, რადგან გივი თარგამაძის ნათესავი იყო, დეტალურად იცოდა ლევანის ოჯახის პრობლემები და დაეხმარებოდა მამის საქმეში, — აცხადებს ადვოკატი.

მისი თქმით, ლევანი დაეჭვდა, თუ საიდან ფლობდა თამუნა ამ ინფორმაციას.

— თამუნამ ცივი უარი მიიღო. რამდენიმე დღეში თამუნა ზირაქაძე უნიშნავს ლევან ფხაკაძეს შეხვედრას ქავთარაძის ქუჩაზე და ახვედრებს მას შავ მანქანაში მჯდომ 2 მამაკაცს. მათი შემოთავაზება იყო მამის საქმის სანაცვლოდ ლევანის თანამშრომლობა მათთან. თანამშრომლობა მოიცავდა იმავე შინაარსს. ამის სანაცვლოდ ოჯახის სიმშვიდეს სთავაზობდნენ. ლევანის გაღიზიანებულ უარზე თამუნა ზირაქაძემ მიაძახა მას, დაფიქრდი, 1 კვირას გაძლევთ დროს, თორემ, ხომ იცი, ცოცხალი ხორცის მჭამელი ერეკლე კოდუა მყავსო, — ამბობს ადვოკატი კორკოტაძე.

მისი თქმით, ზუსტად მიცემული დროის ამოწურვისას ლევან ფხაკაძეს წყნეთის სახლში აუჩეხეს ახალგაზრდა მეუღლე 3 წლის ბავშვის თვალწინ.

— მაგ დროისთვის წყნეთის კარის მეზობელი იყო ირაკლი ოქრუაშვილი, მაშინ ახალი წამოსული ოპოზიციაში. სწორედ მისი დაცვის დახმარებით გადაარჩინეს ლევანის მეუღლე. საავადმყოფოში ყოფნისას ლევანის ტელეფონზე არ წყდებოდა თამარის მუქარები, რომ ახლა შვილსაც წიწილასავით დააკლავდნენ. თამარის ესემესები საქმეშია, — ამბობს ადვოკატი.

საავადმყოფოდან ახალგამოყვანილი მეუღლე ლევანმა ქავთარაძის ქუჩაზე დატოვა მეგობრის ოჯახში, თვითონ კი მეგობართან ერთად ნამცხვრების საყიდლად რამდენიმე წუთით გავიდა ვაჟა ფშაველას ძეგლთან სუპერმარკეტში. მაღაზიასთან ლევანს შავი მანქანიდან 2 ბიჭი გადმოუხტა და სასტიკად სცემეს.

— მიუხედავად ამისა, ლევანს ჩხუბის დროს იარაღი არ უხმარია, — ამბობს ადვოკატი.

მანქანის შუშა ჩამოსწია თამარ ზირაქაძემ. ლევანის დასჯა გრძელდებოდა.

— ლევანი ჩახტა მანქანაში, გაუარა მეუღლეს და მიჰყავდა სახლში დასატოვებლად, რომ თვითონ ოჯახის ექიმთან წასულიყო, რადგან სასტიკად ნაცემი იყო. ამ დროს ლევანს ქუჩაზე გადაუდგა ორი მამაკაცი, გააჩერებინა მანქანა და დაუწყო მანქანიდან გადმოთრევა, — აცხადებს ადვოკატი.

მისი თქმით, თავდამსხმელები იყვნენ მიხეილ ზირაქაძე და მამამისი.

— ლევანის მეუღლემ გააღო მანქანის კარი და სთხოვა, მეუღლე ვარ, დაანებეთ თავიო. ამაზე მიხეილ ზირაქაძემ ამოიღო იარაღი და სიტყვებით — „წადი შენი!“ ლევანის მეუღლეს ესროლა. ქალი დაეცა. ლევანმა იფიქრა, ცოლი მომიკლესო და თავდამსხმელის ფეხებში გაისროლა თავისი იარაღიდან, რადგან მას ცოლთან მიახლოების საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. მიხეილ ზირაქაძეს ზოგი ასხლეტილი ტყვია, ზოგი გასროლილი მოხვდა წელს ქვემოთ, — ამბობს ადვოკატი.

ის აღნიშნავს, რომ ლევან ფხაკაძე თავდაცვის სამინისტროს საბუთებში სნაიპერადაა მოხსენებული.

— ნუთუ სნაიპერი მოსაკლავად გამეტებულ კაცს თავში ააცილებდა და ფეხებში მოარტყამდა? — კითხულობს ნათია კორკოტაძე.

***— შემდეგ რა მოხდა?***

— ტყვია ასცდა ლევანის მეუღლეს, მაგრამ მოხვდა ლევანის მანქანას. ექსპერტიზის საბუთიც იდო საქმეში. ნაციონალებმა მიხეილ ზირაქაძის თავდასხმა კარგად ჩაფარცხეს და ის გამოიყვანეს მსხვერპლად.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ალეკო ელისაშვილი: „ხელისუფლება ჩემს უსაფრთხოებაზე ჩემზე მეტად უნდა დარდობდეს“

## დეპუტატი ირმა ნადირაშვილი მოწმის სტატუსით დაიკითხა

ნაციონალური მოძრაობის წევრ ირმა ნადირაშვილის მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ კომენტარი გააკეთა შეწყალების კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა.



ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ ენმ-ში გაკეთებული განცხადება მანაც ტელევიზიით შეიტყო.

— ჩემზე მეტად უნდა დარდობდეს ხელისუფლება ჩემს უსაფრთხოებაზე, რომ ვიღაცამ ეს პოლიტიკური სპეკულაციებისთვის არ გამოიყენოს. მე არ მითქვამს, რომ ირმა ნადირაშვილი იტყუება. მე ეს არ ვიცი, იტყუება თუ არა. ახლა, როდესაც ძალიან ბევრი ცდილობს, რომ როგორღაც მიმაწებოს ნაციონალურ მოძრაობას, არანაირი ურთიერთობა მათთან არა მაქვს და ეს მეც მედიისგან მოვისმინე, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ნაციონალური მოძრაობის წევრი ირმა ნადირაშვილი მოწმის სტატუსით დაკითხეს. როგორც უწყებიდან გამოსულმა დეპუტატმა აღნიშნა, მისი დაკითხვაზე დაბარება გუშინ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ ირმა ნადირაშვილის განცხადებით, სუსი ალექსანდრე ელისაშვილის მიმართ ოპერაციას გეგმავს, რომელიც მის ცემას გულისხმობს.

ნადირაშვილი აცხადებს, რომ დეპუტატის ცემას გოგაშვილი გეგმავს. დეპუტატის თქმით, მათ ამ საქმისთვის შერჩეული ჰყავთ ადამიანიც, რომლის სახელიცაა ნუკრი.

**ნიუსპოსტი**

# პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და ექიმების მოტივაცია უნდა ამაღლდეს

**„გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბერნარ კუშნერი საქმიანი ვიზიტის ფარგლებში სამოქალაქო სექტორისა და სამედიცინო სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.**

**ბერნარ კუშნერმა მორიგი შეხვედრა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC) ჯანდაცვის სამინისტროს, პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და ქართული სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართა და მათთან ერთად პირველადი ჯანდაცვისა და მიმდინარე რეფორმების საკითხებზე იმსჯელა.**

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ „გლობალ ალიანსის“ სტრატეგიული დაგეგმარების ხელმძღვანელი, ექსპერტი პიტერ მაკარა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლები.

ბერნარ კუშნერი მიესალმება საქართველოს მთავრობის ძალისხმევასა და მათ აქტიურ ჩართულობას პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით. **„დღეს პირველადი ჯანდაცვა ჯანდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მოგეხსენებათ, ჯანდაცვის სამინისტრო თანამშრომლობს „გლობალურ ალიანსთან“ სხვადასხვა საკითხზე და მათ შორის ერთ-ერთი პირველადი ჯანდაცვის რეფორმა და მისი გაძლიერების სტრატეგიის შემუშავებაა. მოვისმინეთ მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომელიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ჯანდაცვის სამინისტროსა და ჩვენი ექსპერტების მიერ საბოლოოდ პირველადი ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, რაც უკვე სათავეს დაუდებს კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას პირველადი ჯანდაცვის სფეროში“,** – განმარტა კუშნერმა და აღნიშნული რეკომენდაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა: **„ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ეს რეკომენდაციები, რადგან ისინი დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე, მაგრამ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ექსპერტების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რათა მოხდეს ამ რეკომენდაციების ადაპტირება საქართველოს კონტექსტზე. საბოლოოდ, ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთი სტრატეგიის სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, გაზრდის პირველადი ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ასევე იქნება მოწოდებული გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმები იმისათვის, თუ როგორ ავამაღლოთ პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და, ზოგადად, როგორ გავზარდოთ პირველადი ჯანდაცვის ექიმების მოტივაცია“.**



**პიტერ მაკარა: „პროცესების სწორად დარეგულირებაში „გლობალური ალიანსისგან“ საჭირო და დროულ რეკომენდაციებს მიიღებთ“**

**„საქართველოს მთავრობამ პირველადი ჯანდაცვა ქვეყნის პრიორიტეტად აღიარა, სადაც მნიშვნელოვანი ქმედითი ღონისძიებების გატარება უკვე დაიწყო და ეს მისასალმებელია“,** – აღნიშნა ექსპერტმა.

**„პირველადი ჯანდაცვა (PHC) ახალი ჯანდაცვის სისტემის საყრდენია საქართველოში. იგი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკის დაგეგმვასა და სამედიცინო პრაქტიკაში. ევროკავშირში პირველადი ჯანდაცვის სისტემა მოიცავს ჯანმრთელობის მიმართულების განათლების, განვითარების, პრევენციის, კურაციული და რეაბილიტაციური, ასევე ტერმინალური აქტივობების ფართო წრეს. სრული პირველადი ჯანდაცვა არ არის ევროკავშირის მხოლოდ მდიდარი წევრებისთვის განკუთვნილი, იგი ასევე სასურველი და მისაწვდომი გახდება ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივ პერსპექტივაში“,** – ითქვა შეხვედრაზე.

პიტერ მაკარამ მიმდინარე რეფორმების მნიშვნელობაზეც ისაუბრა, ამასთან, აღნიშნა, რომ მისი სწორად და მიზანმიმართულად განხორციელება აუცილებელია და მის სირთულეზეც მიანიშნა: **„ჩვენი შემოთავაზება ასეთია: საავადმყოფოები და პირველადი ჯანდაცვა უნდა იყოს ერთად. ეს არის ძალიან რთული, მაგრამ – აუცილებელი. ზოგადად დიდი რეფორმის, დიდი ცვლილების განხორციელება ძალიან რთულია. ასეთია საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკოსების სტრატეგიები. ჩვენ მათ უნდა დავუმტკიცოთ ეფექტიანობა იმ თანხებისა, რომლებიც ამ პროცესების დალაგებასა და დარეგულირებაში დაიხარჯება. სასურველია, დაავადებების პრევენციაში უფრო მეტი თანხა იქნეს მობილიზებული, თუმცა, როცა ვსაუბრობთ პრევენციაზე, და აღნიშნული ინიციატივა სამინისტროდან მოდის, თავდაპირველად საჭიროა ადამიანების ცხოვრების წესის შეცვლა. მახსოვს, ჩემს ქვეყანაში გავიარეთ გარკვეული ეტაპები, გარკვეული სირთულეები, თუ როგორ უნდა შეგვეცვალა სისტემა. დღეს ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო ქირურგიული ოპერაციების კომპენსაცია კერძო კლინიკებში თითქმის იგივეა, რაც საზოგადოებრივ საავადმყოფოებში, მაგრამ ამას დასჭირდება წლები. თუ შესაძლებელია, ექიმებს უფრო მეტი უნდა გადავუხადოთ. სხვაგვარად, ისინი კერძო სისტემაში წავლენ. ამ ყველაფრის ასე ჩამოყალიბება მარტივია, მაგრამ საკმაოდ რთულია ამის განხორციელება. სწორედ პროცესების სწორად დარეგულირებაში „გლობალური ალიანსისგან“ საჭირო და დროულ რეკომენდაციებს მიიღებთ“.**

*დასასრულ ბერნარ კუშნერი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და „გლობალური ალიანსის“ ერთობლივი საბჭოს სხდომას დაესწრო, რომელზეც საქართველოს მთავრობასა და ალიანსს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული მომზადებული პროექტები წარადგინეს.*

# საზარელი მკვლელობა თბილისში

## 25 წლის ქალს ქმრისა და 5 წლის შვილის მკვლელობა ბრალდება



### მაგდა პაპიძე დანაშაულს არ აღიარებს

თბილისში 20 დეკემბერს შემზარავი მკვლელობა მოხდა. დიღმის მასივში, ფერაძის ქუჩაზე, 27 წლის ომარ ქაფიაშვილი და მისი 5 წლის ვაჟი მოკლული იპოვეს. ისინი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს შესასვლელთან ნახეს.

მკვლელობასთან დაკავშირებით მეზობლები სხვადასხვა დეტალს ყვებიან.

როგორც ინტერპრესნიუსს ერთ-ერთმა ადგილობრივმა განუცხადა, გარდაცვლილი მამაკაცი სადარბაზოსთან მეზობლებმა იპოვეს, რის შემდეგაც მათ ბავშვის ძებნა დაიწყეს, რომელიც სადარბაზოსთან მდგარ ავტომობილში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

მეზობლების თქმით, მკვლელობა, სავარაუდოდ, გარდაცვლილების ბინაში მოხდა.





– გარდაცვლილი სადარბაზოსთან უპოვიათ, სისხლის კვალი სადარბაზოში ჩანდა, ალბათ, ბინიდან გამოათრიეს და ამ დროს კვალი დარჩა. მერე ბავშვის ძებნა დაიწყეს. ისიც სადარბაზოსთან მდგარ ავტომობილში იპოვეს, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ხროტინებდა, – აღნიშნა ერთ-ერთმა მეზობელმა.

მამა-შვილის მკვლელობის სავარაუდო ადგილის მახლობლად არსებულ ნაგვის ურნაში სისხლიანი ურო და ტანსაცმელი აღმოაჩინეს.

მომხდარიდან რამდენიმე საათში პოლიციამ მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა.

შსს-ს ინფორმაციით, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად 1990 წელს დაბადებული მაგდა პაპიძე განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების ვერსიით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 20 დეკემბერს, გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მეუღლეს, 1988 წელს დაბადებულ ომარ ქაფიაშვილს ბლაგვი საგნით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

შემდეგ ახალგაზრდა ქალმა გაგუდა მცირეწლოვანი შვილი. მან კვალის დაფარვის მიზნით ცხედრები თავისი საცხოვრებელი ბინიდან კორპუსის წინ ეზოში გაიტანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაგდა პაპიძე დანაშაულს არ აღიარებს. დაკითხვის დროს მან რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაგდა პაპიძე დიაბეტითაა დაავადებული და დაკითხვის დროს რამდენჯერმე შეუძლოდ გახდა.

# კარლო კოპალიანი: „ნაციონალებს ენდიაის კი არა, სამედიცინო კვლევას ველარ უშველის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ტიკოსების ერთ ნაწილზე. ყველაზე აღმაშფოთებელი ის გახლავთ, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმეებს ნაციონალები სახელმწიფოს კუთვნილი თანხებით აკეთებენ.

***– ეს როგორ გავიგოთ?***

– ეს ნაციონალები, როგორც დეპუტატები, აქეთ-იქით სახელმწიფოს ხარჯზე დადიან. 2016 წლის არჩევნების შემდეგ ეს ფულიც აღარ ექნებათ, არც დეპუტატის მანდატი ედებათ ჯიბეში და ერთი ვნახავ მერე, ვინ მოუსმენს მაგათ. დამიჯერეთ, სულ გაქრებიან.

***– თქვენ მათი გაქრობის იმედი გაქვთ, ყოფილი ხელისუფლებაც იმავეს ამბობს „ქართულ ოცნებაზე“. კაკო ბობოხიძე პირობას დებს, რომ კოალიციას მოკვეთს ქართული პოლიტიკიდან.***

– მე თუ მკითხავთ, ეგ ადამიანი პარლამენტში საერთოდ არ უნდა იყოს. ის დემაგოგიური გამოსვლებით გამოირჩევა. ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს აღარ ახსოვს, ვინაა და თავი ფრთიან ანგელოზად ეჩვენება. ახია ჩვენზე. ასეთ რამეებს რომ გვიძახის. ჩვენ მას ერთი წლის წინ გინება შევარჩინეთ. ეს არ უნდა გადაგვეყლაპა.

***– აბა, რა უნდა გექნათ?***

– რა უნდა გვექნა და პარლამენტში არ უნდა შემოგვეშვა.

***– პოლიტიკიდან გაქრობაზე რას იტყვით? კაკო და მისი თანამებრძოლები ამტკიცებენ, „ოცნება“ გაქრებაო.***

– არ გავქრებით, არა. ყოფილ ხელისუფლებას ჩვენი პოლიტიკიდან გაქრობა ერთადერთი გზით შეუძლია. ეს ხელისუფლების დამხობაა.

***– დამხობასა და უკანონობაზე არ წავალთო, ამბობენ.***

– ხალხს ვერ აგროვებენ, თორემ უკან არ დაიხევდნენ. ბოლო აქციაზე 5.000 კაცი ძლივს გამოიყვანეს, მათაც 50-50 ლარი დაურიგეს. მათ მიერ ჩვენი გაქრობა ზღაპარია და ეს ზღაპრები ოჯახის წევრებს უამბონ. მინდა დავამშვიდო ისინი და ვუთხრა, რომ არჩევნებისთვის საგულდაგულოდ ვემზადებით და მალე ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთვება.

***– რა ფორმით ჩაერთვება? იქნება სიაში?***

– არა, სიაში არ იქნება, ის, უბრალოდ, ჩვენი ლიდერი იქნება. მას ხალხში უზარმაზარი ავტორიტეტი აქვს და ამ არჩევნებს ისევ ჩვენ მოვიგებთ.

***– ნაციონალები ამბობენ, რომ სწორედ არჩევნების მოსაგებად გააერთიანეთ მთელი რიგი საარჩევნო ოლქები. რანაირად შეიძლება, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს ერთი მაჟორიტარი ჰყავდეს?***

– როგორც ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს, ეს ამბავი თავიდან არც მე მესიამოვნა, მაგრამ, თუ სამართლებრივი სახელმწიფო გვინდა, მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანის თანასწორი საარჩევნო ხმა ჰქონდეს. არ შეიძლება, 100.000 კაციც და 10.000 კაციც ერთ მაჟორიტარს ირჩევდეს. ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება.

***– სამართლიანობა გასაგებია, მაგრამ რანაირად უნდა ჰყავდეთ სვანებს, ლეჩხუმელებსა და რაჭველებს ერთი მაჟორიტარი?***

– მაშინ ასე დავსვამ კითხვას: თუ რამდენიმე რაიონი ერთ გუბერნიაში შეიძლება იყოს გაერთიანებული, რატომ არ შეიძლება, საპარლამენტო წარმომადგენელიც ერთი ჰყავდეთ? ძალიან კარგად შეიძლება.

***– მე მაინც მგონია, რომ არ შეიძლება. დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის საერთო მაჟორიტარმა რომელი რაიონის პრობლემებზე უნდა იფიქროს?***

– ამ პრობლემებზე მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა იფიქრებს. ადგილობრივ თვითმმართველობებში მოვახერხეთ დიდი რეფორმები და ისინი მიხედავენ ამ პრობლემებს.

***– მაჟორიტარმა რა უნდა აკეთოს?***

– დეპუტატი ჩართული იქნება საკანონმდებლო საქმიანობაში.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ჰუმანითი-ჯორჯიამ“ ონკოცენტრის მოზარდ პაციენტებს ნიკოლოზობაზე ოცნება აუხდინა

წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღის, მოახლოებული საახალწლო და საშობაო დღესასწაულების აღსანიშნად, ცენტრის 16-ვე პაციენტს „ჰუმანითი-ჯორჯიამ“ პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

უნივერსალური სამედიცინო ცენტრის დირექტორმა მამუკა მახათაძემ და „ინოვა ჰელსქეარის“ საოპერაციო დირექტორმა ლიკა ჭუმბურიძემ ანიმატორების მოწვევითა და საზეიმო განწყობის შექმნით წლევანდელი ნიკოლოზობა მოზარდი პაციენტებისთვის კიდევ უფრო ლამაზი გახადეს.

„ჰუმანითი-ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორ ანდრეი კუზმას თქმით, „ჰუმანითის“ თანამშრომლები მოხარულნი არიან, რომ ნიკოლოზობაზე, საქართველოსთვის ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულზე, საშუალება მიეცათ და კომპანიის სახელით გადაცემული საჩუქრით სამედიცინო ცენტრის უკლებლივ ყველა პაციენტს სიხარული მიანიჭეს.

– ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა თანამედროვე მედიცინას მძიმე დაავადებათა უმრავლესობის დაძლევა შეუძლია, მაგრამ სრულად განკურნებისთვის აუცილებელია მშობლების და, რაც მთავარია, პატარა პაციენტების რწმენა, რომ აუცილებლად გამოჯანმრთელდებიან, – განაცხადა ანდრეი კუზმამ.

მან იმედი გამოთქვა, რომ წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს მოზარდებისთვის გადაცემული ეს საჩუქრები და ლეპტოპებში დაინსტალირებული მათი ასაკის შესაბამისი კომპიუტერული თამაშები პატარებს გაახალისებს.

– გარდა ამისა, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვნახეთ, თუ რა მაღალ დონეზეა ორგანიზებული აქ, ამ კლინიკაში პაციენტების მოვლა და მათზე ზრუნვა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო იმ ზრუნვისთვის, რომელსაც ისინი პატარა პაციენტების მიმართ იჩენენ, – განაცხადა ანდრეი კუზმამ.

ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორ მამუკა მახათაძის თქმით, „ჰუმანითის“ მიერ ნიკოლოზობას მოწყობილმა სიურპრიზმა მათი პაციენტების ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი ოცნება აასრულა.

– ახალ წელსა და შობას ჩვენი პატარები პირადი ლეპტოპებითა და ძალიან დადებითი ემოციებით ეგებებიან და უნდა გითხრათ, რომ მათი ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა მედიკამენტოზურ მკურნალობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, – აღნიშნა მახათაძემ.

„ინოვა ჰელსქეარის“ საოპერაციო დირექტორ ლიკა ჭუმბურიძის განცხადებით კი ონკოცენტრის პატარებისთვის განსაკუთრებული დღეა, რადგან „ჰუმანითი-ჯორჯიამ“ მათი სურვილი აასრულა და წინასაახალწლო დღეები მათთვის ძალიან ლამაზად დაიწყო.

ლიკა ჭუმბურიძემ პაციენტებისა და მათი მშობლების სახელით დიდი მადლიერება გამოხატა იმ პოზიტიური ემოციებისთვის, რაც კომპანიის მათთან სტუმრობამ გამოიწვია.



# ნათია კორკოტაძე: „ნაციონალებმა პოლიტპატიმარ ლევან ფხაკაძის გადაბირება ცადეს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***– ამის შემდეგ რა ხდება?***

– აქ იყო სუფთა პოლიტიკური მოტივი. ლევანს დაუჭირეს მამა, აკადემიკოსი კაცი. ლევანის და, ეკა ფხაკაძე, გაიქცა საქართველოდან. ის გერმანიის მოქალაქე გახდა და სახელი და გვარიც კი შეიცვალა, ისე დევნიდნენ. მათ მთელი ოჯახი გაანადგურეს. მე 2009 წლიდან ვიყავი ჰელსინკის კომისიის წევრი.

***– კახა კუკავას კომისიად რომ არის ცნობილი?***

– დიახ, კუკავა ხელმძღვანელობდა, ის იყო ამ კავშირის თავმჯდომარე. ამ კომისიაში ვიყავით: მე, ეკა ბესელია, ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ირმა ჭკადუა, ლალი აფციაური, ქეთი ბექაური და კიდევ ბევრი ცნობილი ადვოკატი. ვინც თვლიდა, რომ იყო რეჟიმის მსხვერპლი, მათი საქმეები შემოდიოდა ჩვენთან განსახილველად. ჩვენ ყველას ვთხოვდით, მოეტანათ სისხლის სამართლის საქმეები. ამ საქმეებს მოჰყვებოდნენ ადვოკატებიც, ხდებოდა საქმეების განხილვა და ჩვენ, იმ დებულების თანახმად, რომელიც მართლაც შეესაბამებოდა პოლიტპატიმრის სტატუსს, ამ სტატუსს ვანიჭებდით.

ნახევარზე მეტი პოლიტპატიმრის ადვოკატი ვიყავი მე. მუხროვანის საქმეზე დაპატიმრებულები, ვახტანგ მაისაია, ნინო ბურჯანაძის 50 მომხრე, რომლებიც დაიჭირეს 2011-ში და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

***– ლევან ფხაკაძის საქმე ვინ მოიტანა?***

– ლევანის საქმე ჩვენთან მისმა დამ მოიტანა. მაშინ ამ ქალს არ ვიცნობდი. ჩვენ განვიხილეთ ეს საქმე კომისიაში და ამ კომისიის შემადგენლობაში მაშინ ეკა ბესელია საერთოდ არ იყო! არც მანანა კობახიძე ყოფილა.

***– ია მეტრეველი რა კავშირშია ფხაკაძის საქმესთან?***

– ია მეტრეველი საპროტესტო აქციებმა დააახლოვა არა მარტო ლევან ფხაკაძის ოჯახს, არამედ ზერეკიძეების, მაისაიასა და მრავალი ახლა აღიარებული პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსის მქონე პირსაც.

როდესაც პარლამენტში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით, სადაც მოხდა უკვე არსებული სიების გადაგზავნა, იმ კომისიის რიგით წევრად არჩეულ იქნა ია მეტრეველი. ია მეტრეველი უკვე შექმნილ სიებს გაეცნო.

ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ იცოდა ამის შესახებ. ჩვენ მუდმივად ვაკეთებდით ამ სიების პრეზენტაციებს და 2012 წლის არჩევნების შემდეგ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. ეს ჩვენი გამზადებული სიები იყო, ჩვენგან წავიდა პარლამენტში ეს სიები!

აუცილებლად უნდა შემდგარიყო ხარვეზების დამდგენი კომისია, უნდა მომხდარიყო ამ პოლიტპატიმრების საქმეების გადასინჯვა და შემდეგ გამოჩნდებოდა მტყუან-მართალი და არ იქნებოდა ამაზე ამდენი ლაპარაკი. აღარ იქცეოდა პოლიტპატიმრის სტატუსი ყბადაღებულ თემად.

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ ლევან ფხაკაძე უდანაშაულოა?***

– რასაკვირველია. ვინც უნდა ყოფილიყო მის ადგილას, იმავეს გააკეთებდა. შენ თავს დამესხი, ჩემს ცოლს ესვრი იარაღს, მე თავი არ უნდა დავიცვა?! მით უმეტეს, რომ მიბჯნით არ უსვრია. ასხლეტილი ტყვია მოხვდა.

ადვოკატი ამბობს, რომ როდესაც პოლიტდევნილთა სიაში ჩასვეს ლევანი და ეს ნაციონალებმა გაიგეს, შეუთვალეს, ამ სიას დაანებე თავი და ჩვენ ყველა მოთხოვნას დაგიკმაყოფილებთო.

– ეს ამ ოჯახმა არ გააკეთა, დღეს კი ეს ბრალდებები ნაციონალებისა და ლიგისგან მოდის, – აცხადებს ადვოკატი.

მისი თქმით, ცდილობენ, ყველას და ყველაფერს ჩირქი მოსცხონ და ტალახში ამოსვარონ.

– თუმცა ჩვენ ვერავინ და ვერაფერი შეგვაჩერებს, ის, რაც გასაკეთებელია, მაინც გაკეთდება და ამ ბინძურ კამპანიას თავი დაანებონ! – აცხადებს ადვოკატი ნათია კორკოტაძე.

# ყაზახები სააკაშვილს აკიმობას სთავაზობენ

## შექმნის თუ არა ექსპრეზიდენტი უკრაინაში თავის პარტიას

შორენა მარსაგიშვილი



მიხეილ სააკაშვილის თავს უცნაური ამბები ტრიალებს. უკრაინაში ერთი კვირის განმავლობაში მან უკვე მეორე სასამართლო წააგო. შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა კი მის წინააღმდეგ ახალი სარჩელი შეიტანა. სასამართლოს ამ დღეებში პრემიერი არსენ იაცენიუკიც მიმართავს.

ამ დროს ცნობილი ხდება, რომ ყაზახეთის მუსლიმანურმა კავშირმა მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან ყაზახეთში მიიწვია.

საინფორმაციო სააგენტო ნურ.კზ-ს ინფორმაციით, ოდესის გუბერნატორს ყაზახეთში აკიმის თანამდებობას სთავაზობენ.

– თქვენმა გადამწყვეტმა და უშიშარმა ბრძოლამ კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ უდიდესი გავლენა იქონია ჩვენზე. ჩვენ ძალიან მადლიერები ვიქნებით, თუ ამ თქვენს პრაქტიკას ჩვენს ქვეყანაში გამოიყენებთ, – აღნიშნულია წერილში, რომელიც ჩვენებურმა ყაზახეთიდან მიიღო.

ყაზახთა უსტარში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სააკაშვილის ტექნოლოგია ჯერ კიდევ ძალიან მოთხოვნადია არა მხოლოდ ყაზახეთში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

მუსლიმანი ადამიანის უფლებათა დამცველები ასევე ირწმუნებიან, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში მიხეილ სააკაშვილს შესაბამის დახმარებას გაუწევენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

უკრაინულ სააგენტო უნიანის ცნობით კი ოდესის გუბერნატორს 680 გრივნის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს. ჩვენებური სახელმწიფო აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნისა და სააღსრულებო დოკუმენტის იგნორირებისთვის დაჯარიმდა.

საქმე ეხება ოდესის მოქალაქის საჩივარს, რომელიც გასულ წელს იმდროინდელ გუბერნატორ იგორ პალიცასთან შეხვედრას მოითხოვდა, რისი საშუალებაც არ მიეცა.

ამის გამო 2015 წლის ივნისში მან საჩივარი შეიტანა. სასამართლომ გუბერნატორს აღნიშნულ მოქალაქესთან შეხვედრა დაავალა. იმ დროისთვის სააკაშვილის გუნდმა, რომელიც უკვე ხელმძღვანელობდა ოდესის ოლქს, სააპელაციო საჩივარი შეიტანა, მაგრამ 22 ოქტომბერს კოლეგიამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

მოქალაქემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად აღმასრულებლებს მიმართა. თუ სააკაშვილი მას კვლავ არ აღასრულებს, ორმაგი ჯარიმის გადახდა დაეკისრება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ემუქრება.

მოსამართლეებისა და მთავრობის წევრების გარდა, ნაპრეზიდენტალს მეომრებიც აუშარდნენ. უკრაინელმა და ქართველმა მებრძოლებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და სააკაშვილს განმარტებები მოსთხოვეს.

მათი განაწყენება სააკაშვილის განცხადებას მოჰყვა, რომლის მიხედვით, მოხალისეთა ბატალიონები კერძო სამხედრო კომპანიებია. მოხალისეთა განცხადებით, ისინი ეკუთვნიან უკრაინელ ხალხს და არა ამა თუ იმ ოლიგარქს.

ატო-ს კავშირის წევრმა, მოხალისე არმენ ნიკოგოსიანმა გუბერნატორის განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომ კარგი იქნება, სააკაშვილი იმ საქმეებს ასრულებდეს, რომლებიც პრეზიდენტმა დაავალა და არ ერეოდეს პოლიტიკაში.

– პრეზიდენტის მასხარავ! არავითარი „ჯიბის“ ბატალიონები უკრაინაში არ არის, თქვენ პროკურორი ხართ თუ შინაგან საქმეთა მინისტრი? თქვენ ხართ გუბერნატორი და ჩართული უნდა იყოთ რეგიონის საქმეებში და არა პიარგანცხადებების კეთებაში! – მიმართავს სააკაშვილს ნიკოგოსიანი.

მისი ქართველი თანამებრძოლი, ასევე მოხალისე გოჩა ბახია, გუბერნატორისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

– სააკაშვილი ვალდებულია, ბოდიში მოუხადოს ყველა იმ მოხალისეს, რომელმაც უკრაინის დასაცავად სიცოცხლეც გაწირა ოკუპანტებთან ბრძოლაში. ისინი წავიდნენ უკრაინის დასაცავად და არა სააკაშვილის. და კიდევ ერთი, არანაირი კერძო სამხედრო კომპანიები არ არსებობს, – განაცხადა გოჩა ბახიამ.

უკრაინის სახალხო დეპუტატმა, ბატალიონ „კიევი-1“-ის კოორდინატორმა ევგენი დეიდეიმ განაცხადა, რომ სააკაშვილმა უნდა ახსნას, სად წავიდა ატო-ს კავშირის ფული, რომელიც მოხალისეებისა და მათი ოჯახებისთვის იყო განკუთვნილი.

ცნობისათვის – ცოტა ხნის წინ სააკაშვილი რადას დეპუტატების ნაწილმა ატო-ს კავშირის ფულის მითვისებაში დაადანაშაულა.

* * *

ბოლო ხანებში უკრაინულ მედიაში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ, რომ მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა ოპოზიციაში გადავიდეს. ჩვენებური უკვე დაიმუქრა კიევში საპროტესტო აქციების გამართვით.

გამოცემა გორდონი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტმა უკრაინაში შესაძლოა საკუთარი პარტია შექმნას. ამ ინფორმაციას გამოცემა რუსეთის დუმის ყოფილ დეპუტატ კონსტანტინ ბოროვოიზე დაყრდნობით ავრცელებს.

ბოროვოი მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი პარტია.

– მას რომ საკუთარი პარტია ჰყოლოდა, ვერც იაცენიუკი და ვერც ავაკოვი ვერ გაუბედავდნენ იმის თქმას, ჩემი ქვეყნიდან წაეთრიეო. ამიტომაც ვურჩევ მას, რაც შეიძლება მალე შექმნას ძლიერი პარტია. დარწმუნებული ვარ, უკრაინის მოსახლეობა მას მხარს დაუჭერს. – აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## ირლანდიელი გოგონა თავის შვედ ორეულს შეხვდა



ირლანდიელი შენონ ლონერგანი თავის შვედ ორეულ სარა ნორდსტრიომს შეხვდა. 21 წლის ლონერგანი და 17 წლის ნორდსტრიომი აბსოლუტურად ერთნაირად გამოიყურებიან.

გოგონებმა ერთმანეთი ერთ-ერთ ვებგვერდზე გაიცნეს, რომელიც ინტერნეტმომხმარებლებს მათი მსგავსი ადამიანების მოძებნაში ეხმარება. გოგონების პირველი შეხვედრა დუბლინში შედგა და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

ლონერგანის თქმით, „ყველაზე დიდი საშინელება“ იმაში მდგომარეობს, რომ მისი და ნორდსტრიომის ცხვირი, პირი, ტუჩები და თვალები წარმოუდგენლად ერთნაირია.

– ამან ცოტათი შემაშინა კიდეც, მაგრამ – ამ სიტყვის კარგი გაგებით. როდესაც სარას გვერდით საკმარისი დრო გავატარე, შევნიშნე, თუ რამდენად მსგავსია ჩვენი გამომეტყველება და სიარულის მანერა, – განაცხადა ირლანდიელმა გოგონამ და იქვე აღნიშნა, რომ ხასიათებით ისინი ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

თავის მხრივ, ნორდსტრიომმა აღნიშნა, რომ მისი და ლონერგანის პირველი შეხვედრა „რამდენადმე სიურეალისტური“ გამოდგა.

## ტრანსგენდერების წყვილმა საკუთარი ბავშვის ყოლა გადაწყვიტა



ტრანსგენდერების წყვილმა ქორწილი და საკუთარი ბავშვის გაჩენა დაგეგმა. 25 წლის რაიან საიდმა, წარსულში სარამ, კანადის ქალაქ ონტარიოდან და 18 წლის ჟასმინ მერინომ, რომლის ადრინდელი სახელი უცნობია, კალიფორნიიდან, ერთმანეთი ინსტაგრამით გაიცნეს და ერთმანეთს სიყვარულში პირველივე პაემანის დროს გამოუტყდნენ.

– ეს იყო ერთი ნახვით სიყვარული, – განაცხადა საიდმა. წყვილი ბავშვის ჩასახვას საიდის კვერცხუჯრედისა და მერინოს სპერმის გამოყენებით აპირებს.

იუთუბის ერთ-ერთ არხზე გამოქვეყნებულ ვიდეოში საიდმა განაცხადა, რომ როდესაც მისმა ოჯახმა გაიგო, რომ ის მამაკაცად გახდომას აპირებდა, ფსიქიატრთან გააგზავნეს, გარკვეული დროის შემდეგ კი მათ მისი გადაწყვეტილება და არჩევანი მიიღეს.

## პოლონეთის პრეზიდენტი დააჯარიმეს



პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა კრაკოვის ცენტრში მანქანის არასწორად გაჩერების გამო დააჯარიმეს. წითელი ფერის ფოლკსვაგენ გოლფი რამდენიმე დღის განმავლობაში დაბლოკილი საბურავებით იდგა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე. ამ ინფორმაციას „რადიო პოლონეთი“ ავრცელებს.

კონკრეტულად რომელი წესები დაარღვია პრეზიდენტმა, არ სახელდება. 100 ზლოტის (25 დოლარი) ოდენობის ჯარიმა პრეზიდენტის ქალიშვილმა კინგა დუდამ გადაიხადა. 16 დეკემბერს ის თავად მიუჯდა მამის ავტომობილის საჭეს და მანქანა სხვა ადგილას გადააყენა.

## ბარ რაფაელი გადასახადების დამალვაშია ექჭვმიტანილი



ებრაელი სუპერმოდელი ბარ რაფაელი საგადასახადო დანაშაულის ჩადენაშია ექჭვმიტანილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ებრაული საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

გამოძიების ვერსიით, მან ცადა, თავი აერიდებინა სავალდებულო გადასახადებისთვის იმ მოტივით, რომ ის ისრაელში არ ცხოვრობს. გარდა ამისა, 30 წლის მოდელმა, რომელიც ადრე ლეონარდო დი კაპრიოს მეგობარი გოგონა იყო, სავარაუდოდ, საგადასახადო ორგანოებს დაუმალა მილიონი შეკელის (დაახლოებით 250 ათასი დოლარი) შემოსავალი.

რაფაელი 12 საათის განმავლობაში იკითხებოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამის შემდეგ კი მოდელს, რომელმაც ბრალდება უარყო, ქვეყნიდან გასასვლელად ხელისუფლების ნებართვა და 250 ათასი შეკელის გადახდა მოუწევს (64 ათასი დოლარი).

– ამაში რაიმე ტრაგიკული არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ სამოქალაქო კამათია, არავის არავინ მოუტყუებია. მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება, – განაცხადა მოდელის ადვოკატმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


***თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.***

**ლამარა თოდუა:**

**„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## სირიის ომში უკვე 9 რუსი სამხედრო დაიღუპა



„უოლ სტრიტ ჯორნალის“ მონაცემების თანახმად, სირიის ომში უკვე 9 რუსი სამხედრო დაიღუპა.

თავად კრემლი ამ ინფორმაციას უარყოფს.

– ისინი მოხალისეები იყვნენ და არა – რეგულარული არმიის ჯარისკაცები! ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენს მოქალაქეებს სირიაში წასვლა და ასადის მხარეს ბრძოლა დავუშალოთ, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ.

პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, რუსი ჯარისკაცები სახმელეთო ოპერაციებში არ მონაწილეობენ. რუსული რეგულარული არმია და ფლოტი მხოლოდ ტერორისტების პოზიციების დაბომბვას ახორციელებს.

– ჩვენ თადარიგში სხვა საშუალებებიც გვაქვს, – იმუქრება რუსეთის პრეზიდენტი.

## იაცენიუკი: „დეფოლტი გამორიცხულია“



უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა განაცხადა, რომ უკრაინას დეფოლტი არა აქვს და არც ექნება. უბრალოდ, ქვეყანამ საგარეო ვალების გადახდაზე მორატორიუმი გამოაცხადა.

პრემიერი რუსეთთან ვალის თემასაც შეეხო.

– რუსები ტყუილუბრალოდ ცხარობენ! მათი ვალი არ გვაქვს! თუ საწინააღმდეგო აზრი გააჩნიათ, სასამართლოს მიმართონ, თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ რამეს გახდნენ! – აცხადებს იაცენიუკი.

რუსეთის ფინანსთა მინისტრი სილუანოვი კი ამბობს, რომ უკრაინის მთავრობის მორატორიუმს არ ცნობს და, თუ კიევი ვალს არ გადაიხდის, სასამართლოში იჩივლებს.

– უკრაინას ვადა 20 დეკემბრამდე ჰქონდა. ჩვენ მას 30-მდე ვუგრძელებთ. თუ ჩვენი უკრაინელი პარტნიორები გონს არ მოეგებიან, დეფოლტი გარდაუვალია, – ამბობს სილუანოვი.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი საგანგებოდ შეეხო უკრაინისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობების თემას.

სავალუტო ფონდმა რუსეთის წინაშე უკრაინის ვალი აღიარა, მაგრამ თავისი დებულებაც შეცვალა. თუკი აქამდე ფონდს ეკრძალებოდა ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც საგარეო ვალი გააჩნიათ, ახლა ეს მოიხსნა.

– ამით სავალუტო ფონდი როგორც რუსეთს, ისე უკრაინას მოლაპარაკებებისკენ უბიძგებს! – ამბობს პორტნიკოვი.

უკრაინის ფინანსთა მინისტრმა იარესკომ განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის მზადაა, თუმცა საკუთარი პირობებიც წამოაყენა: რუსეთმა უკრაინას ვალის ნაწილი უნდა ჩამოაჭრას და დანარჩენი ნაწილის რესტრუქტურიზაცია მოახდინოს.

რუსეთი ამაზე ჯერჯერობით უარს აცხადებს. პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინას საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლებს.

## იაბლოკოს ახალი ლიდერი ჰყავს



პარტია იაბლოკოს ახალი ლიდერი ჰყავს. ეს კარელიის საკანონმდებლო კრების წევრი ემილია სლაბუნოვააა.

პარტიის ყრილობაზე, როცა თავმჯდომარის არჩევნები შედგა, სლაბუნოვას კონკურენტი ევგენი შლოსბერგი იყო. სლაბუნოვამ მხოლოდ მეორე ტურში გაიმარჯვა.

მას მხარი დაუჭირეს გრიგორი იავლინსკიმ და პარტიის ამჟამინდელმა ლიდერმა მიტროხინმა.

## ბერნში ალიევი და სარგსიანი შეხვდნენ

ბერნში ერთმანეთს სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი და აზერბაიჯანის ლიდერი ილჰამ ალიევი შეხვდნენ.



მოლაპარაკებები ყარაბაღის კრიზისის მშვიდობიან მოგვარებას მიეძღვნა.

– ჩვენ გვსურს, კავკასიაში მშვიდობა დამყარდეს. თუ ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდება, ეს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, – აცხადებს შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიდიე ბულგჰალტერი.

ალიევისა და სარგსიანის ბერნში ჩასვლამ რუსეთი გააღიზიანა. კრემლის პოზიცია ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– ევროპელებს კავკასიის პრობლემები არ ესმით. მოგვეცით საშუალება, კავკასიაში თავისუფლად ვიმოქმედოთ და სიტუაციაც დალაგდება, – თქვა ჟირინოვსკიმ.

მან იმ მეთოდებზეც ისაუბრა, რომელთა დახმარებითაც რუსეთი სიტუაციის დარეგულირებას აპირებს:

– აუცილებელია ექსტრემისტული ელემენტების მასობრივი დახვრეტები და ციმბირში გასახლება! სხვაგვარად მშვიდობა ვერ დამყარდება, – აცხადებს ჟირინოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

ქალეიდოსკოპი

## ავსტრალიაში შიშველი მირანდა კერის ფოტოსურათები აკრძალეს

ავსტრალიის სუპერმარკეტების ქსელმა ქოლესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაყიდვიდან ამოიღო ჟურნალ „ჰარპერს ბაზარის“ იანვრის ნომერი, რომლის გარეკანზე გაშიშვლებული სუპერმოდელი მირანდა კერია გამოსახული.




გავრცელებული ინფორმაციით, სუპერმარკეტების ქსელის ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი მომხმარებლების უკმაყოფილების გამო გადადგა.

– ჩვენი მომხმარებლების საჩივრების პასუხად, რომელთა უმრავლესობა საყიდლებზე ბავშვებთან ერთად დადის, ჟურნალი გაყიდვიდან ამოვიღეთ, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში, რომელშიც ასევე ნათქვამია, რომ ჟურნალის გარეკანი სრულიად შეუფერებელია.

ამავე დროს, მომხდარის გამო საკუთარი უკმაყოფილება გამოთქვა ჟურნალის ავსტრალიური ვერსიის რედაქტორმა კელი ჰაშმა.

– ყდაზე წარმოდგენილია ლამაზი მხატვრული სახე, რომელიც ავსტრალიის ერთ-ერთმა საუკეთესო ფოტოგრაფმა სტივენ ჩიმ აღბეჭდა და მე ამას მხარს ვუჭერ. იმდენი დადებითი გამოხმაურება მივიღე მთელი მსოფლიოდან და ახლა მრცხვენია, რომ ქოლესს არ ესმის ამ გამოსახულების მხატვრული ღირებულება, – განაცხადა კელი ჰაშმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.
- ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ბათუმმა სოხუმს ლიდერობა ჩამოართვა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**რუსთავი – ბათუმი 65:75**
**(19:14; 20:22; 14:22; 12:17)**

რუსთავი დიდი დანაკლისით შეხვდა ბათუმელებთან მატჩს. მიხეილ ბერუაშვილის გუნდს ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლა გაჩეშა აკლდა, რომელსაც



ანგინა აქვს. ქვემოქართლელებს ასევე გამოაკლდათ უკანახაზელი ბექა წივწივაძე, რომელიც ვითაში გადავიდა.

ქვემოქართლელებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს და 10:1 დაწინაურდნენ. მეორე მეოთხედის შუაწელში ქვემოქართლელთა ლიდერობამ 12 ქულას (36:24) მიაღწია, თუმცა უკრაინელი ლეგიონერის, ლეონიდ სტეპანიშინის შედეგიანობით ბათუმელებმა ჩამორჩენა შეამცირეს და დიდ შესვენებაზე 3-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ – 36:39.

მესამე პერიოდში ბათუმელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს. მართალია, დასაწყისში რუსთაველებმა ოდნავ გაზარდეს უპირატესობა (42:36), თუმცა შემდეგ ბათუმელების დრო დადგა და ბესო ლეჟავას, აკაკი დვალიშვილისა და სტეპანიშინის ქულებით სტუმრებმა ლიდერობა მოიპოვეს.

საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე რუსთაველებმა მიხეილ ჭოჭუასა და გიორგი გამყრელიძის აქტიურობით ანგარიში გაათანაბრეს – 65:65, თუმცა ეს იყო ქვემოქართლელთა მაქსიმუმი.

ბოლო 2 წუთში ბათუმელებმა მეტი მობილიზებით ითამაშეს და 10:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგ შეხვედრა 75:65 მოიგეს.

საკვანძო გამოდგა ის ტექნიკური ჯარიმა, რომელიც რუსთაველებს მსაჯებმა მისცეს. ქვემოქართლური გუნდის წევრებმა ჩათვალეს, რომ მსაჯმა მათი მოთამაშე დაუმსახურებლად დააჯარიმა, რასაც რუსთაველების მწვავე რეაქცია და მსაჯისგან ტექნიკური მოჰყვა. ბათუმელებმა საჯარიმოები ჩააგდეს და ბონუსშეტევაც შედეგიანად დააგვირგვინეს, რითაც მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

გამარჯვებულებს 17-17 ქულით ლეონიდ სტეპანიშინმა და აკაკი დვალიშვილმა ულიდერეს. ამ უკანასკნელმა 12 მოხსნაც მიითვალა და ორმაგი დუბლი გაიფორმა. 10 ქულა დააგროვა ბესო ლეჟავამ, იგორ კრივცოვის ანგარიშზე კი 8 ქულა და 13 მოხსნა დაგროვდა. „რუსთავში" 14 ქულით და 13 მოხსნით საუკეთესო იყო კაელ ტურპინი.

**დინამო – აკადემია 85:55**
**(20:15; 25:8; 20:15; 20:17)**

როგორც წესი, აკადემიამ მეტოქეს დებიუტში არაფერი დაუთმო. რამდენიმე წუთი აკადემიელები ლიდერობდნენ, თუმცა პირველი პერიოდის მიწურულს ჩამორჩნენ და მას მერე ამაოდ ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას.

დინამო ისედაც აღმავლობის გზაზეა და ბოლო 3 მატჩი იოლად ჰქონდა მოგებული, ხოლო აკადემიელებთან შეხვედრაში ირაკლი ხოშტარიას გუნდს ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი, ილია ლონდარიძე დაუბრუნდა. ეს უკანასკნელი ქუთაისში მომხდარი ინციდენტის გამო იყო დისკვალიფიცირებული და სასჯელი მოიხადა.

ლონდარიძე თავისიანებს 13 ქულითა და 6 მოხსნით შეეხიდა, საუკეთესო კი მიხეილ ბერიშვილი გახდა 21 ქულით. აკადემიელთაგან კი ლეგიონერები გამოირჩნენ – მორის ბრიგსმა 14 ქულა ჩააგდო, ემერსონ მიურეიმ კი – 11.

**მგზავრები – ოლიმპი 70:66**
**(24:14; 10:9; 21:19; 15:24)**

დაძაბული თამაშიც მოსალოდნელი იყო, თუმცა ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში ოლიმპზე ერთით ნაკლები მოგება ჰქონდა მოპოვებული, იოლ გამარჯვებას მიაღწია.

საბოლოოდ 4-ქულიანი სხვაობა კი დაფიქსირდა, თუმცა შეხვედრა ისე დასრულდა, ვითარება არც დაძაბულა. მგზავრებმა ისე დამაჯერებლად ჩაატარეს მთელი მატჩი – თავიდანვე დაწინაურდნენ, ბოლო წუთებამდე მეტოქე ახლოს აღარ მიიკარეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მებრძოლი ევროპის ჩემპიონია, საგარეჯო – პირველი ლიგის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს კლუბი მებრძოლი ევროპის ჩემპიონია. ეროვნული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებულმა გიორგი ბაინდურაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ჩემპიონატზე ოქროს ლიგის უძლიერესი კლუბის სახელი მოიპოვა.



მამაკაცთა ევროკონკურენციაში სულ 8 კლუბი ჩაერთო. ქართულმა კლუბმა სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივეში იმარჯვა.

ჩვენებმა ტურნირი საფრანგეთის სენტ ჟენევიევის ძლევით დაიწყეს. ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) დავიდ ლაროსთან დამარცხდა, ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ) – ჟულიენ ლა როკასთან და ჩვენები 0:2 ჩამორჩნენ, მაგრამ ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) ჟულიენ კერმარეკს მოუგო, ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) – ლუდოვიკ გობერს, ხოლო ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე) – ჟან სებასტიან ბონვუასინს.

ნახევარფინალში სპორტინგთან დაჭიდებამდე ბაინდურაშვილმა განაცხადში ორი შეცვლა განახორციელა. 66-ში ტატამზე ამირან პაპინაშვილი გაიყვანა, 90-ში კი ზვიად გოგოჭური.

პაპინაშვილი ოლეინიკთან შებოჭვაზე მოჰყვა, რასაც ტატალაშვილის მარცხი მოჰყვა რუსტამ ორუჯოვთან და ისევ 0:2 ჩამოვრჩით, მაგრამ ბოლო სამი წონა მოვიგეთ – ჭრიკიშვილმა ანრი ეგუტიძეს უილეთო შეხვედრაში შიდოების ხარჯზე აჯობა, გოგოჭურმა დანიელ კოშტას ვაზარით ძლევით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ოქრუაშვილმა იაკივ ხამოსი შებოჭა.

ფინალში მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: მარგველაშვილი იპონით დამარცხდა ზანთარაიასთან, არადა ვაზარით და იუკოთი უგებდა, შემდეგ ტატალაშვილმა გაათანაბრა, რომელმაც ევროპის ჩემპიონ საგი მუკის მოუგო, ჭრიკიშვილმა კი მოულოდნელად, დომინიკ რესელისგან გაუშვა სუფთა გდება და ისევ ჩამოვრჩით. თუმცა ჯერ ლიპარტელიანმა გაათანაბრა მარკ ოდენტალთან, ხოლო საჩემპიონო წერტილი ოქრუაშვილმა დასვა დიმიტრი პეტერსისთვის შესრულებული სუფთა გდებით.

მომავალ წელს ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირზე სამი ქართული კლუბი გამოვა: ევროპის ჩემპიონი მებრძოლი და პირველი ლიგიდან დაწინაურებული საგარეჯო და შევარდენი.

ორივე კლუბმა ეს პატივი თბილისში მიიღო, სადაც ძიუდოს საკლუბო ევროპირველობაზე პირველი ლიგის ჩემპიონი საგარეჯო გახდა, შევარდენი კი მესამე ადგილზე გავიდა.

პირველ ლიგაში 13 კლუბი ჩაება და პირველ ნომრად განთესილი საგარეჯო საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო. ქართულმა კლუბმა გროზნოს ედელვაისი 4:1 დაამარცხა. არადა, აგებდა – 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა შავდათუაშვილი იაკუბ შამილოვთან ვაზარით დამარცხდა. ანგარიში ბექას ძმამ – ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) გაათანაბრა, რომელმაც საიდ სალაჰ საგაიპოვი გააკრა ბეჭებზე. უშანგი მარგიანმა (81 კგ) ისმაილ საგაიპოვს ორი გაფრთხილების უპირატესობით აჯობა. გამარჯვების მომტანი ქულა ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ) მოიპოვა, რასაც თავისი წილი გამარჯვება მძიმეწონოსანმა ლევან მატიაშვილმაც შემატა.

ნახევარფინალში ირაკლი ცირეკიძის გაწვრთნილი გუნდი ეკატერინბურგის რატიბორეცს დაუპირისპირდა.

უმსუბუქეს წონაში ბექა შავდათუაშვილის ნაცვლად ტატამზე გიორგი გუგულაშვილი გავიდა, მაგრამ ვერც მან შეძლო წარმატების მიღწევა და ივან სპირინთან ვაზარით წააგო. ისევ ლაშა შავდათუაშვილმა გაათანაბრა – ამჯერად ალექსეი ასტაფიევს ვაზარით. მოულოდნელად წააგო მარგიანმა და რუსები ისევ დაწინაურდნენ. გუნდს გამარჯვება ღვინიაშვილმა და მატიაშვილმა მოუპოვეს.

ფინალში ჩვენები ისევ რუსულ კლუბს, ნალჩიკს დაუპირისპირდნენ.

აქაც ორჯერ დაწინაურდნენ რუსები – ჯერ ანზორ არდანოვის მიერ ბექა შავდათუაშვილის (66 კგ) ძლევით, ხოლო შემდეგ ასლან ლაპინაგოვის გამარჯვებით თამაზ კირაკოზაშვილთან (81 კგ). პირველად ანგარიში ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) გაათანაბრა, ხოლო მეორედ – ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ). პირველი ადგილის ბედი კი მძიმეწონოსანთა დაპირისპირებამ გადაწყვიტა. ლევან მატიაშვილმა არტურ ხაპცევი გააკრა ტატამს ბეჭებით და საგარეჯომ 3:2 იმარჯვა.

შევარდენმა ფრანგული სუსი 3:2 კი დაამარცხა, მაგრამ ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალში დაასრულა ტიუმენის ნიუ სტრიმთან წაგებით – 1:4 და რეპეჟაში გადაერთო. შემდეგ კი რთული გზის გავლა მოუწია მესამე ადგილამდე.

შევარდენმა ჯერ ჰოლანდიის ნორდ ოსტი დაამარცხა, შემდეგ საფრანგეთის სარტრუვილი და ბოლოს, რუსეთის რატიბორეცი.

ყველა შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით – 4:1 დამთავრდა.

# 30-ვერცხლიანი ვირთხები

ლონდონის ჩელსის მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჟოზე მოურინიო დაითხოვა, რასაც დიდი ამბები მოჰყვა.

ლონდონელმა გულშემატკივრებმა ეს გადაწყვეტილება არ მოიწონეს და პორტუგალიელ სპეციალისტს მხარდაჭერა გამოუცხადეს. სანდერლენდთან მატჩის დროს ქომაგები სხვადასხვა ბანერებით მივიდნენ სტადიონზე.

გულშემატკივრები გუნდის წარუმატებლობაში ფეხბურთელებს ადანაშაულებენ და არა მოურინიოს. ქომაგებმა ფეხბურთელები იუდას შეადარა, რომელმაც ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდა, ხოლო ერთ-ერთი ქალბატონი თავის ბანერზე ედენ აზარს, სესკ ფაბრეგასსა და დიეგო კოშტას ვირთხებს უწოდებდა. ერთ-ერთი ქომაგი კი, სტადიონზე ჟოზე მოურინიოს ნიღაბითაც მივიდა.

აქვე გეტყვით, რომ ჟოზე მოურინიოს გარეშე არისტოკრატებმა მეტოქე 3:1 დაამარცხეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ დიდიე დროგბა და ჩელსის ახლადდანიშნული თავკაცი გუუს ჰიდინკი.

## შედეგები

### 19 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-სანდერლენდი .................... 3:1
ევერტონი-ლესტერი .................... 2:3
ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი ........... 1:2
მანჩესტერი-ნორვიჩი .................... 1:2
სტოკი-კრ.პალასი .................... 1:2
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი ............ 0:2
ნიუკასლი-ასტონ ვილა .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 17 | 11 | 5 | 1 | 37-24 | 38 |
| 2.არსენალი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-13 | 33 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 4.ტოტენჰემი | 17 | 7 | 8 | 2 | 28-14 | 29 |
| 5.მანჩესტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-14 | 29 |
| 6.კრ.პალასი | 17 | 9 | 2 | 6 | 23-16 | 29 |
| 7.უოტფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-16 | 25 |
| 8.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 25-21 | 24 |
| 9.ლივერპული | 16 | 6 | 6 | 4 | 20-19 | 24 |
| 10.ევერტონი | 17 | 5 | 8 | 4 | 31-24 | 23 |
| 11.სტოკი | 17 | 6 | 5 | 6 | 14-16 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-21 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-23 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-32 | 19 |
| 15.ჩელსი | 17 | 5 | 3 | 9 | 21-27 | 18 |
| 16.ნორვიჩი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-29 | 17 |
| 17.ნიუკასლი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-32 | 17 |
| 18.სუონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-24 | 14 |
| 19.სანდერლენდი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-33 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 17 | 1 | 4 | 12 | 14-31 | 7 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბრაიტონი-მიდლსბრო .................... 0:3
ბოლტონი-ფულემი .................... 2:2
ბრენტფორდი-ჰადერსფილდი ....... 4:2
ბრისტოლი-ქპრ .................... 1:1
ბარნლი-ჩარლტონი .................... 4:0
იფსვიჩი-დერბი .................... 0:1
ნოტინგემი-მილტონი .................... 2:1
როტერჰემი-ჰალი .................... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ხეტაფე .................... 2:2
ესპანიოლი-ლას პალმასი ............... 1:0
ბეტისი-სევილია .................... 0:0
დეპორტივო-ეიბარი .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 15 | 11 | 2 | 2 | 22-7 | 35 |
| 3.რეალი | 15 | 9 | 3 | 3 | 32-13 | 30 |
| 4.სელტა | 15 | 8 | 4 | 3 | 26-22 | 28 |
| 5.ვილიარეალი | 15 | 8 | 3 | 4 | 19-15 | 27 |
| 6.დეპორტივო | 16 | 6 | 8 | 2 | 25-16 | 26 |
| 7.სევილია | 16 | 6 | 5 | 5 | 21-19 | 23 |
| 8.ვალენსია | 16 | 5 | 7 | 4 | 21-14 | 22 |
| 9.ბილბაო | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 10.ეიბარი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-19 | 21 |
| 11.ბეტისი | 16 | 5 | 5 | 6 | 13-19 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 16 | 6 | 2 | 8 | 16-26 | 20 |
| 13.სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 14.ხეტაფე | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| 15.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 16.მალაგა | 15 | 3 | 5 | 7 | 9-14 | 14 |
| 17.გრანადა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-25 | 14 |
| 18.რაიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16-27 | 14 |
| 19.ლას პალმასი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |
| 20.ლევანტე | 15 | 2 | 5 | 8 | 12-27 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-სარაგოსა .................... 3:1
მალიორკა-ხირონა .................... 1:1
პონფერადინა-ალავესი .................... 0:1
ნუმანსია-ოსასუნა .................... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ვერდერი .................... 2:1
ჰამბურგი-აუგსბურგი .................... 0:1
ჰანოვერი-ბაიერნი .................... 0:1
ინგოლშტადტი-ლევერკუზენი ...... 0:1
კიოლნი-დორტმუნდი .................... 2:1
შტუტგარტი-ვოლფსბურგი ........... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 15 | 1 | 1 | 46-8 | 46 |
| 2.დორტმუნდი | 17 | 12 | 2 | 3 | 47-23 | 38 |
| 3.ჰერტა | 16 | 9 | 2 | 5 | 24-18 | 29 |
| 4.ლევერკუზენი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-20 | 27 |
| 5.შალკე | 17 | 8 | 3 | 6 | 23-23 | 27 |
| 6.ვოლფსბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 26-21 | 26 |
| 7.გლადბახი | 16 | 8 | 2 | 6 | 31-28 | 26 |
| 8.მაინცი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 9.კიოლნი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-21 | 24 |
| 10.ჰამბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-23 | 22 |
| 11.ინგოლშტადტი | 17 | 5 | 5 | 7 | 11-18 | 20 |
| 12.აუგსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-26 | 19 |
| 13.დარმშტადტი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 14.აინტრახტი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-28 | 17 |
| 15.შტუტგარტი | 17 | 4 | 3 | 10 | 22-37 | 15 |
| 16.ვერდერი | 17 | 4 | 3 | 10 | 17-32 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 17 | 4 | 2 | 11 | 18-29 | 14 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 17 | 2 | 7 | 8 | 17-25 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ლაიპციგი .................... 1:2
ჰაიდენჰაიმი-ნიურბერგი ............... 0:3

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ემპოლი .................... 2:3
კარპი-იუვენტუსი .................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 22-9 | 36 |
| 2.იუვენტუსი | 17 | 10 | 3 | 4 | 28-14 | 33 |
| 3.ფიორენტინა | 16 | 10 | 2 | 4 | 31-15 | 32 |
| 4.ნაპოლი | 16 | 9 | 5 | 2 | 28-12 | 32 |
| 5.რომა | 16 | 8 | 5 | 3 | 30-18 | 29 |
| 6.ემპოლი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-22 | 27 |
| 7.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 8.მილანი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-19 | 25 |
| 9.ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| 10.კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 21-16 | 22 |
| 11.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 12.ლაციო | 16 | 6 | 2 | 8 | 18-25 | 20 |
| 13.ბოლონია | 17 | 6 | 1 | 10 | 19-24 | 19 |
| 14.პალერმო | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 15.უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 14-24 | 18 |
| 16.სამპდორია | 16 | 4 | 5 | 7 | 22-26 | 17 |
| 17.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 18.ფროზინონე | 16 | 4 | 2 | 10 | 15-30 | 14 |
| 19.კარპი | 17 | 2 | 4 | 11 | 15-33 | 10 |
| 20.ვერონა | 16 | 0 | 7 | 9 | 11-26 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ლივორნო .................... 4:1
ასკოლი-ნოვარა .................... 1:3
ბრეშა-სპეცია .................... 1:1
ჩეზენა-ტერნანა .................... 4:0
კომო-აველინო .................... 0:1
ენტელა-ვიჩენცა .................... 4:1
ლანჩანო-პესკარა .................... 1:2
ლატინა-კროტონო .................... 2:2
ტრაპანი-პრო ვერჩელი .................... 1:1
კალიარი-ბარი .................... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

კაენი-პსჟ .................... 0:3
ბასტია-რეიმსი .................... 2:0
გენგამი-რენი .................... 0:2
ლორიანი-ნანტი .................... 0:0
ტულუზა-ლილი .................... 1:1
ტრუა-მონაკო .................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 16 | 3 | 0 | 48-9 | 51 |
| 2.მონაკო | 19 | 8 | 8 | 3 | 25-23 | 32 |
| 3.ანჟე | 18 | 8 | 7 | 3 | 17-10 | 31 |
| 4.კაენი | 19 | 9 | 3 | 7 | 21-22 | 30 |
| 5.ნიცა | 19 | 8 | 5 | 6 | 32-23 | 29 |
| 6.რენი | 19 | 6 | 9 | 4 | 25-21 | 27 |
| 7.ლორიანი | 19 | 6 | 8 | 5 | 27-26 | 26 |
| 8.ლიონი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-21 | 26 |
| 9.სტ.ეტიენი | 18 | 8 | 2 | 8 | 21-22 | 26 |
| 10.მარსელი | 18 | 6 | 6 | 6 | 27-20 | 24 |
| 11.ლილი | 19 | 5 | 9 | 5 | 15-13 | 24 |
| 12.ნანტი | 19 | 6 | 6 | 7 | 14-17 | 24 |
| 13.მონპელიე | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 14.ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 20-24 | 22 |
| 15.ბორდო | 18 | 5 | 7 | 6 | 22-27 | 22 |
| 16.გაზელეკი | 18 | 5 | 6 | 7 | 18-21 | 21 |
| 17.რეიმსი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-24 | 21 |
| 18.გენგამი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 19.ტულუზა | 19 | 3 | 8 | 8 | 21-33 | 17 |
| 20.ტრუა | 19 | 0 | 8 | 11 | 10-35 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ბურგი .................... 2:0
ტრუა-მეცი .................... 2:0

**ჰოლანდია. ეროვიზიონი**

ალკმაარი-უტრეხტი .................... 2:2
პსვ-ზვოლე .................... 3:2
ჰერაკლესი-გრონინგენი ................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-მარიტიმუ .................... 4:1
ეშტორილი-გიმარაეში .................. 0:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

სელტიკი-მოზერველი .................... 1:2
დანდი-ჰამილტონი .................... 4:0
ინვერნესი-დ.იუნაიტედი ............... 2:2
კილმანროკი-აბერდინი ................ 0:4
პარტიკი-როსი .................... 1:0
სტ.ჯონსონი-ჰართსი .................... 0:0

**ბელგია. პრო ლიგა**

გენკი-სტ.ტრუიდენი .................... 3:0
მუსკრონი-ბევერენი .................... 0:1
ვესტერლო-შარლერუა .................. 2:1
ლეუვენი-მეხელენი .................... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პანიონიოსი ............ 1:0
ვერია-ასტერასი .................... 1:0
კალონი-ოლიმპიაკოსი ................ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-რიზე .................... 2:0
ქონია-ბურსა .................... 1:0
მერსინი-ქაშიმფაშა .................... 1:2
ტრაბზონი-ანთალია .................... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ტერმალიცა-რუხი .................... 0:1
იაგელონია-კრაკოვია .................. 2:2
ლეჩნა-გდანსკი .................... 3:1

**მსოფლიოს საკლუბო პირველობა**
**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

ჰიროშიმა-გუანჯოუ .................... 2:1

**ფინალი**

ბარსელონა-რივერ პლეიტი ........... 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ზაზა ფაჩულიას მორიგი დიდებული მატჩი



დასავლეთ კონფერენციის ცხრილში მუდმივ მეზობელ მემფის გრიზლისთან მატჩში დალასის ქართველმა ცენტრმა 10 ქულასთან ერთად 18 მოხსნა მიითვალა და თავის გუნდს გამარჯვებაში ხომ დიდად დაეხმარა, პირად ანგარიშზე სეზონის მე-15 ორმაგი დუბლიც ჩაიწერა.

ზაზასა და ტეხასური გუნდის სხვა წამყვანი მოთამაშეების მეოხებით დალასმა შეხვედრა 97:88 მოიგო და დასავლეთ კონფერენციის მე-5 ადგილიდან მემფისი ჩააჩოჩა.

ზაზა, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 29 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 12-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ცენტრი შეუდარებელი იყო ფარქვეშ და აცილებულ ბურთებს იშვიათად თუ ვინმეს ანებებდა. მოპოვებულ 10 ქულას ზაზამ გამორჩეულად ბევრი – 18 მოხსნა მიაყოლა, რაც ამ მატჩში მემფისელთა საუკეთესო 2 მომხსნელის ერთად აღებულ მონაგარზე მეტია.

გრიზლის შემადგენლობაში ყველაზე მეტი მოხსნა მარკ გასოლმა და ზაკ რენდოლფმა მოაგროვეს – თითოეულმა 8 ბურთი მოხსნა.

რადგან ფარქვეშ ფაჩულიას სახით საიმედო ბურჯი ჰყავდათ, დალასელებმა მეტოქე პერიმეტრიდან დაბომბეს და საბოლოოდ საქმე იოლად მოუთავეს.

ქართველ ცენტრს 10 ქულასა და 18 მოხსნასთან ერთად თითო პასი და ჩაჭრა ჰქონდა. დალასელთა სხვა ლიდერთაგან 20 ქულით დირკ ნოვიცკი გამოირჩა, 16 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი ჩენდლერ პერსონსმა მიითვალა, ხოლო დერონ უილიამსის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

15 მოგებითა და 12 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე გამყარდა. მომდევნო ჯახი კი ფაჩულიას გუნდს 23 დეკემბერს ელის.

მ. ჟ.

# საქართველო შოტლანდიაში წავა, ლობჟანიძე — საფრანგეთში

ბოლო დროს ქართულ რაგბიში სიტუაცია აირია, მაგრამ ახალ წლამდე 2 ახალი კარგი ამბავი შევიტყვეთ. მსოფლიო თასზე ბორჯღალოსნების კარგმა თამაშმა და რაგბის კავშირის დაუღალავმა შრომამ პირველი დივიდენდი მოგვცა – 2016 წლის ნოემბრის ტესტების ერთ-ერთი მეტოქე ცნობილია და ეს შოტლანდიის ნაკრებია. მატჩი 26 ნოემბერს ბრიტანეთში გაიმართება.

მეორე ახალი ამბავი ის არის, რომ მსოფლიო თასების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე, ბორჯღალოსნების 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე 2016-17 წლის სეზონიდან ფრანგული ტოპ 14-ის ბრივის რიგებში იასპარეზებს.

**ვასილ ლობჟანიძე:**

– ბედნიერი ვარ, რომ სარაგბო კარიერას საფრანგეთში, ისეთ ძლიერ გუნდში გავაგრძელებ, როგორიც ბრივია. ადრეც ვამბობდი, რომ ვოცნებობდი, კარიერა საზღვარგარეთ კარგ გუნდში გამეგრძელებინა, რათა უფრო მეტი გამოცდილება დავაგროვო, რითაც, ჩემი მხრივ, იმედი მაქვს, წვლილს შევიტან ბორჯღალოსნების მომავალ წარმატებებში.

წინა კვირას იგი ბრივში სამედიცინო შემოწმებაზე იმყოფებოდა, სადაც წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მ. ჟ.

# ბათუმმა სოხუმს ლიდერობა ჩამოართვა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

პირველი მეოთხედი ბერიშვილის გუნდმა 24:14 მოიგო, ხოლო თამაშის მე-15 წუთისთვის უკვე 18 ქულით ლიდერობდა – 32:14. შედეგიანად თამაშობდნენ მგზავრების ამერიკელი ლეგიონერები – რეჯინალდ მერფი და კაშიმ რენსომი. ოლიმპელები კი თამაშს ვერაფრით ალაგებდნენ და ყოველი მცდელობა, ჩამორჩენა შეემცირებინათ, უშედეგოდ მთავრდებოდა. მაქსიმუმი, რაც გია კაზანჯიანის გუნდმა მოახერხა, დეფიციტის 4 ქულამდე შემცირება იყო.

გამარჯვებულთაგან 19 ქულითა და 17 მოხსნით საუკეთესო იყო რეჯინალდ მერფი. მეორე ამერიკელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა – 18 ქულა, 11 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. ოლიმპში 19 ქულით რევაზ როგავა გამოირჩა, ჯერემი ბაინუმმა კი შეხვედრა 13 ქულით დაასრულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 11 | 8 | 3 | 842:784 | 19 |
| 2.სოხუმი | 11 | 7 | 4 | 862:765 | 18 |
| 3.ქუთაისი | 11 | 7 | 4 | 825:785 | 18 |
| 4.დინამო | 11 | 7 | 4 | 782:734 | 18 |
| 5.მგზავრები | 11 | 5 | 6 | 779:825 | 16 |
| 6.ოლიმპი | 11 | 5 | 6 | 782:780 | 16 |
| 7.რუსთავი | 11 | 4 | 7 | 808:847 | 15 |
| 8.აკადემია | 11 | 1 | 10 | 749:909 | 12 |

# ასტროპროგნოზი

## 21 დეკემბრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღლდება. საქმისადმი დიდი ინტერესი თქვენს შემდგომ წარმატებას განაპირობებს. შემოქმედებითი უნარი იზრდება. არ არის გამორიცხული, ფინანსური შემოსავალიც მიიღოთ. **კურო** – სიძნელეები და წინააღმდეგობები ძალიან მალე უკან დარჩება. გაბედულად იარეთ წინ. რაც მეტი, მით უკეთესი. მხარდაჭერას სრულიად მოულოდნელად მიიღებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ კონფლიქტს უფროსობასთან. თავმდაბლად იმუშავეთ. ინიციატივის გამოჩენა სასურველი არ არის. **კირჩხიბი** – ოჯახური კონფლიქტის ალბათობა დიდია. რეალობას საღად შეხედეთ და გადაწყვეტილებები ისე მიიღეთ. არ ღირს ემოციების გამოვლენა. გაუფრთხილდით როგორც თქვენს, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. **ლომი** – დღეს კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ცურვა, ფიტნესი. აქტიურად დაისვენეთ. პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. **ქალწული** – გაიფართოვეთ ცოდნა. წაიკითხეთ ახალი წიგნი. თქვენი ენერგიისა და სასიცოცხლო რესურსების გამოყენების უფლებას ნურავის მისცემთ. **სასწორი** – ეს დღე სულიერებას მიუძღვენით. ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. არც რისკია გამართლებული. სიფრთხილე გამოიჩინეთ მგზავრობის დროს, განსაკუთრებით – მძღოლებმა. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. ყური მიუგდეთ ინტუიციას. კარგი იქნება, თუ სამკურნალო პროცედურებს ჩაიტარებთ. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობისთვის არაკეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. დაისვენეთ და მოდუნდით. **თხის რქა** – ჭეშმარიტ ფასეულობებზე იფიქრეთ. ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **მერწყული** – დაისვენეთ, გაერთეთ. უმჯობესია, თუ ეს დასვენება ფიზიკურ დატვირთვასთან იქნება დაკავშირებული. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გიუარესდებათ. ფული ძალიან ეკონომიურად ხარჯეთ. ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. მოხუცებს ქრონიკული დაავადებები გაუმწვავდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ესპანეთში ეკლესია სკეიტპარკად გადააკეთეს

ჩრდილოეთ ესპანეთის ქალაქ ლიანერაში 100-წლოვანი დაცარიელებული ეკლესია სკეიტბორდზე სრიალის მოყვარულთა პარკად გადააკეთეს. აქტივისტებს მხარი ენერგეტიკული სასმელის რედ ბულის მწარმოებელმა დაუჭირა, ხოლო მხატვარმა ოკუდა სან-მიგელმა ინტერიერი პოპსიურეალიზმის სტილში მრავალფეროვანი ფრესკებით მოხატა.



სკეიტბორდის მოყვარულთა ადგილობრივმა ასოციაცია პროექტის განხორციელებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო დაკავებული. ეკლესიის შენობის შესაკეთებელი ფული ინტერნეტმომხმარებლების დახმარებით შეგროვდა. მისმა ორგანიზატორებმა ამ ხერხით თითქმის 25 ათასი ევრო მიიღეს.

სან-მიგელი ეკლესიაში 25 ნოემბრიდან მუშაობდა და მისი კედლები ერთ კვირაში მოხატა. სკეიტპარკად გადაკეთებული ეკლესია თავისუფალი შესვლისთვის 10 დეკემბერს გაიხსნა, თუმცა ამის ამსახველი სურათები და ვიდეო რგოლები იუთუბიში მხოლოდ ახლახან გავრცელდა. ამ მომენტისთვის ის უკვე 25 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

# ფრანგ თოვლის პაპას ირმებიანი მარხილი გასტაცეს

ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლონჟიუმოში პერ ნოელს (ასე უწოდებენ ამ ქვეყანაში თოვლის პაპას) მარხილი გასტაცეს. უცნობებმა მოიპარეს კაშკაშა წითელი ფერის მარხილი, რომელიც მრავალფეროვანი გირლანდებით იყო გაფორმებული და მასში ირმების ოთხი ფიგურა იყო შებმული. ეს ყოველივე კი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე იყო განთავსებული.



მოედანზე თოვლის პაპის სატრანსპორტო საშუალების დადგმიდან ორ კვირაში შენიშნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ მარხილი ადგილზე აღარ იდგა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქში ფურცლები გამოაკრა, რომელზეც უცნობ ქურდებს მოუწოდა, დააბრუნონ ის, რაც პერ ნოელს ეკუთვნის.

– აღშფოთებული ვართ. მარხილი ამ ადგილზე 15 იანვრამდე უნდა მდგარიყო. ის ძალიან მოსწონდათ ბავშვებს, რომლებიც მოედანზე მშობლებთან ერთად სპეციალურად მის სანახავად და ფოტოსურათის გადასაღებად მოდიოდნენ, – განაცხადა ქალაქის მერიის წარმომადგენელმა.

ხელისუფლების მონაცემებით, თოვლის პაპის მარხილის მოპარვით მიყენებულმა ზარალმა 5,4 ათასი ევრო შეადგინა.

# ამერიკელი ელფობას 100 დოლარად დათანხმდა

ამერიკის ქალაქ ბოსტონის მცხოვრებლებს შეეძლებათ, საშობაოდ ცოცხალი „ელფი თაროზე“ დაიქირაონ. შესაბამისი შეთავაზება ვაკანსიების ადგილობრივ ვებგვერდზე განათავსა მოქალაქემ, რომლის სახელია „ნებისმიერი სახელი, რომელსაც ისურვებთ“.

მამაკაცი, რომელიც საახალწლო ელფის კოსტიუმშია გამოწყობილი, მზადაა, საათში 100 დოლარად გეწვიოთ საახალწლო წვეულებაზე, მოკალათდეს იქ, სადაც ეტყვიან და მთელი ღონისძიების განმავლობაში უდარდელი თვალებით უყუროს სტუმრებსა და მასპინძლებს.



მამაკაცმა აღნიშნა, რომ, მართალია, თემატური დღესასწაულების სპეციალისტია, მაგრამ ასევე მზად არის, მსურველებს კერძო მაძებრისა და ძიძის მომსახურებაც შესთავაზოს. მისი თქმით, ასეთი მომსახურების საფასური ცალკე საუბრის საგანია.

– ჩემი მომსახურება უკიდურესად მოთხოვნადი იყო ამ სეზონში, ამიტომ გთხოვთ, დაგეგმილ ღონისძიებამდე 48 საათით ადრე ჩამაყენოთ საქმის კურსში, – განაცხადა მან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# იუმორი

●●●

შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რატომ გგონია, რომ თუ დაბადების დღეზე ვიყავი, აუცილებლად დავლევდი?

– ნუცა, დედაშენი ვარ, დედაშენი!

●●●

აფთიაქში მოხუცმა ქალბატონმა წამლები იყიდა და ჩანთაში ალაგებს. ამ დროს მის შემდეგ მდგომი გოგონა გამყიდველს მიმართავს:

– თუ შეიძლება, პრეზერვატივების შეკვრა და ვალერიანი მომეცით.

მოხუცი გოგონას მიუბრუნდა და ეუბნება:

– ნერვიულობ? სულ ტყუილად!

●●●

სოფლელი მამაკაცი თანასოფლელ ქალს ეუბნება:

– რაფრა დამშვენებულხარ, მარგალიტა, შე დასაღუპავო!

– გავთხოვდი, აქვსენტი და ხომ იცი...

– რაცხა სხვაი ამბავი უნდა იყოს, თვარა მაგი არც აქამდე გაკლდა შენ!

●●●

ყოფილი ცოლი ყოფილ ქმარს ტელეფონით ელაპარაკება და ეკითხება:

– მოწევას თავი დაანებე?

– დავანებე.

– დალევას?

– დალევასაც.

– ქალებში სიარულს?

– არა, მაგისთვის თავი არ დამინებებია.

– მე კი ვფიქრობდი, შენთვის რეზინის ქალი მეჩუქებინა!

– დაბრუნებას არ გირჩევ!

●●●

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამა, იცი, დედა მანქანას შენზე უკეთ ატარებს!

– მე მაგას არ ვიტყოდი...

– კი მაგრამ, შენ თვითონ არ თქვი, რომ ამოწეული ხელის მუხრუჭით ერთ მეტრსაც კი ვერ გაივლიდი.

– ვთქვი, მერე?

– დედამ კი მთელი 12 კილომეტრი იარა.

●●●

მამა შვილს სასეირნოდ წაიყვანს, არც ატრაქციონებზე დასვამს, არც ბამბის ნაყინს უყიდის და არც ნამცხვარს. ბოლოს ბავშვი ეუბნება:

– ამწონე მაინც, შე შობელძაღლო!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. ნოტი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 3. რძის პროდუქტი; 4. პირველი მამაკაცი; 5. სამკითხაო ქვიშა; 6. ხმადაბლა (მუსიკა); 7. წრეწირის ნაწილი; 8. მდინარე შვეიცარიაში; 9. სასროლეთი; 10. ტუჩის საცხი; 11. წილი საერთო საქმეში; 12. ლოურენს ...; 13. რისამე სტანდარტი; 14. ვირის გასარეკი შეძახილი; 15. „... მარია“; 16. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 17. მარადმწვანე მცენარე; 18. ცოცხლადმშობი შხამიანი ბუზი; 19. ნუსხა; 20. ავსტრიის დედაქალაქი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. ძაბვის მარეგულირებელი ხელსაწყო; 23. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 24. კამილ ...; 25. სალვადორის ფულის ერთეული; 26. ... ნოლტი; 27. მუსიკალური წყობა; 28. ქალაქი სირიაში; 29. ნული ქულა; 30. სატელეფონო სიტყვა; 31. რუსული ავტომარკა; 32. „ჩვენი ...; 33. 3.14; 34. იაპონური სამოსელი; 35. მდინარე სამხრეთ ამერიკაში.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სურა; 2. ოფურო; 3. გუამი; 5. შაგალი; 6. ნაკაშიძე; 9. „მუჯურეთული“; 10. საიათნოვა; 11. მანიფესტი; 14. ერა; 16. ფელინი; 18. ქაჯი.

**თარაზულად:** 1. სულორი; 4. აფშერონი; 7. ლუგელა; 9. მუხიანი; 12. აჯიკა; 13. „ნესტლე“; 15. კაბელი; 17. უთო; 19. ექსკავატორი; 20. გინზა; 21. დისნეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კები; 2. დაფნა; 3. იახტა; 4. ჩიყვი; 5. ნუნისი; 6. ტრანზიტი; 8. იქთიოლოგია; 10. სერვანტესი; 11. კისინჯერი; 14. ბოლიდი; 15. „კაჭიჭი“; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. კუპდარი; 4. „ჩინეჩიტა“; 7. ბლეფი; 9. ვალსი; 12. ხიზანი; 13. ათოსი; 14. ბანერი; 17. კოტეჯი; 18. გვერდწითელი; 19. გაბროვო; 20. გაბენი.

# „ჩემი ცოლის დაქალებს“ კიდევ ერთი მსახიობი გაუთხოვდა

გახმაურებულ ქართულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ კიდევ ერთი მსახიობი გათხოვდა. გვანცა გიორგობიანი, რომელიც სერიალში მოკრძალებულ გოგონას თამაშობ-



და, მაგრამ მორალისტობა ძალიან უყვარდა, გაბედნიერდა. სიმბოლურია, რომ გვანცა მერვე სეზონის დასაწყისში გათხოვდა, რადგან მისი პერსონაჟი სერიალშიც მეშვიდე სეზონის ბოლოს გაბედნიერდა.

მსახიობმა თავისი ბედი ლევან ჩაჩუას დაუკავშირა. წყვილმა ხელი იუსტიციის სამინისტროში მოაწერა. მსახიობმა ამ მოვლენის დამადასტურებელი ფოტოები და ქორწინების მოწმობა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილებიც მიიღო.

# მაია ჯაბუას ფილარმონიის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან

ანსამბლ „მზიურის“ ერთ-ერთ გამორჩეულ სოლისტს მაია ჯაბუას დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. მართალია, მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე გახსნილია ანსამბლ „მზიურის“ ვარსკვლავი, მაგრამ კულტურის პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, ანსამბლის წევრებს სახელობითი ვარსკვლავებიც გაუხსნას.



დიდი საკონცერტო დარბაზის წინ უკვე გახსნილია „მზიურის“ კიდევ ერთი წევრის, თამარ გვერდწითელის ვარსკვლავი. 30 იანვარს მეორე მზიურელის, მაია ჯაბუას ვარსკვლავიც საზეიმოდ გაიხსნება.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დათო ევგენიძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კახიანი, ლიზა ყენია, ნიკოლოზ რაჭველი და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

# ნიაზ დიასამიძე უფასო კონცერტს გამართავს

მომღერალი ნიაზ დიასამიძე თავის ერთგულ გულშემატკივრებს ხშირი კონცერტებით არასდროს ანებივრებს. მომღერალი ძირითადად სტუდიაშია შეკეტილი და ახალ კომპოზიციებზე მუშაობს.

წლის მიწურულს ნიაზ დიასამიძემ გადაწყვეტილება მიიღო, სტუდენტებისთვის უფასო კონცერტი ჩაატაროს და ახალ სიმღერებთან ერთად ძველი ჰიტებიც შეუსრულოს.

21 დეკემბერს ნიაზ დიასამიძე და ჯგუფი „33ა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო კონცერტს გამართავს. საღამოს ორგანიზატორი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტია.

ნიაზ დიასამიძე სოლოკონცერტს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ჩაატარებს და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.



# სერგო ქობულაძის ფარდა პოლემიკის მიზეზი გახდა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დიდი ზარ-ზეიმით დაკიდული სერგო ქობულაძის ესკიზის მიხედვით შექმნილი ფარდა პოლემიკის მიზეზი გახდა.



თეატრის ყოფილი დირექტორი, რეჟისორი დავით საყვარელიძე აცხადებს, რომ სერგო ქობულაძის მიერ დახატული ფარდის ესკიზის ორიგინალი დროებით სახლში აქვს და ის რადიკალურად განსხვავდება ოპერის თეატრში დაკიდული ფარდისგან.

— განსხვავებულია, პირველ რიგში, დამჯდარი ფერებით, ლურჯი ფერი თითქმის საერთოდ არ არის ნახმარი. უფრო მუქი წითელი, ღვინის ფერში გადასული. ვერცხლის ფერებიც გადაჭკრავს. ქნარის უკანა მხარეს ცისფერი ფერია, თითქოს მოზაიკისებრი ქვებითაა გაწყობილი. ჩემი მობილურით გადაღებული ვერ გადმოსცემს ზუსტ ფერებს, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც შეგექმნებათ, — ამბობს დავით საყვარელიძე.

დავით საყვარელიძის განცხადებას უპასუხა ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

— არცერთ ჩვენგანს იმის ილუზია არ ჰქონია, რომ სერგო ქობულაძის დახატულ ფარდას ერთი ერთში აღადგენდა! ეს შეუძლებელია, რადგან მხატვარი ცოცხალი აღარაა! თუმცა მუშა ჯგუფმა სამინისტროს ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით მოახერხა მთავარი — უნიკალურ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ლეგენდასთან ყველაზე ახლოს მდგომი თანამედროვე ასლი შექმნა, — განაცხადა გიორგი კალანდიამ.

# თბილისის სიმფონიური ორკესტრი დაავადებული ბავშვებისთვის დაუკრავს



ჯანსულ კახიძის სახელობის ცენტრში ტრადიცია არც წელს დაირღვევა და საშობაოდ საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება. 25 დეკემბერს დაგეგმილი საქველმოქმედო საღამო ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების დასახმარებლად ჩატარდება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ დირიჟორი ვახტანგ კახიძე, თბილისის სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და სოლისტები. საშობაო საღამოზე შესრულდება ბახის საორღანო ნაწარმოები და საშობაო ორატორიები.

ჯანსულ კახიძის სახელობის ცენტრში პატარების დასახმარებლად ჩატარებული კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად სოლიდარობის ფონდში გადაირიცხება. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ვახტანგ კახიძე და თბილისის სიმფონიური ორკესტრი სოლიდარობის ფონდში თანხას რიცხავენ და სიმსივნით დაავადებულ პატარებს ეხმარებიან. გასულ წელს შობის დღესასწაულისთვის ჯანსულ კახიძის სახელობის ცენტრში კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა და შემოსავალი იმ პატარებს მოხმარდათ, რომლებსაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ.

# „მის საქართველო“ „მის მსოფლიოს“ რჩეულებში ვერ მოხვდა

„მის საქართველო 2015“ ნუკა ყარალაშვილი „მის მსოფლიოს“ რჩეულებში ვერ მოხვდა. ჩინეთის კუნძულ სანიაზე ფინალური შოუ გაიმართა, სადაც კონკურსში მონაწილე 130 ლამაზმანიდან ნუკა ყარალაშვილი ტოპ 30 გოგონას შორის მოხვდა, მაგრამ ფინალურ შოუზე ის ტოპოცეულს მიღმა აღმოჩნდა.



საქართველოს წარმომადგენელი, 24 წლის ლამაზმანი მსოფლიოს მთავარ სილამაზის კონკურსს ყოველგვარი ტიტულის გარეშე გამოეთიშა.

„მის მსოფლიო 2015“-ის ტიტული მის ესპანეთმა მოიპოვა. მეორე ადგილზე მის რუსეთი გავიდა, მესამეზე კი — მის ინდონეზია.

ტოპხუთეულში ასევე მოხვდნენ მის იამაიკა და მის ლიბანი, მაყურებელთა ფავორიტად კი მის ვიეტნამი დასახელდა. წლევანდელ მის მსოფლიოს გარდამავალი გვირგვინი თავზე შარშანდელმა მის მსოფლიომ დაადგა.

# გურამ ოდიშარიას აღიარება უკრაინაში



კულტურის ყოფილ მინისტრ გურამ ოდიშარიას წიგნი „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ უკრაინაში საუკეთესოდ დასახელდა.

— ეს იმ ადამიანის ლექსები და პროზაა, რომელმაც აფხაზეთის ომის დროს ყველაფერი დაკარგა. ამჟამად შემოქმედი თავის მდიდარ მოგონებებს მკითხველებს უზიარებს, სამშობლო კი მის ღრმა ქვეცნობიერში ცხოვრობს, — ასე შეაფასა გურამ ოდიშარიას კრებული არტკრიტიკოსმა და ჟურნალისტმა იგორ ბონდარ-ტერეშენკომ. მან ის ათი უმთავრესი წიგნი დაასახელა, რომლებიც უცხოელი მწერლების მიერ არის დაწერილი.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით უკრაინულ ენაზე გამოცემული გურამ ოდიშარიას წიგნი 2015 წლის 10 საუკეთესო უკრაინულენოვან თარგმანს შორის მოხვდა. წიგნი უკრაინულად რაულ ჩილაჩავამ თარგმნა.

არტკრიტიკოსმა იგორ ბონდარ-ტერეშენკომ უცხოელი ავტორების 10 მთავარი წიგნი დაასახელა. ჩამონათვალში გურამ ოდიშარიასთან ერთად მოხვდნენ მიშელ უელბეკი, პატრიკ ოურჟედნიკი, ჯამბატისტა ბაზილე, ჩაკ პოლანიკი, ემირ კუსტურიცა, ენრიკე ვილა-მატასა, ტერი გილიამი, ენდი უორჰოლი, ინგებორგა ბაჰმანი და პაულ ცელანი.

# ქოლდფლეის მადლობა ხატია ბუნიათიშვილს

მკითხველისთვის უკვე კარგად არის ცნობილი, რომ ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი მსოფლიოში ცნობილ როკჯგუფ ქოლდფლეისთან თანამშრომლობს და მისი ახალი, რიგით მეშვიდე ალბომის ჩაწერაში მონაწილეობს.



ალბომის ჩაწერაში, ქართველი პიანისტის გარდა, სხვა ცნობილი უცხოელი მუსიკოსები და მომღერლებიც არიან ჩართული. მათთან ერთად ალბომის ჩაწერაში მონაწილეობს ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი ბარაქ ობამა.

ახალ ალბომში ხატია ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი კომპოზიციის „კალეიდოსკპის“ შესავალში უკრავს, რომელსაც არტკრიტიკოსები ჯგუფის მთავარ მარგალიტს უწოდებენ.

ჯგუფმა ქართველ პიანისტთან ერთად წინა კვირას კონცერტი პარიზში გამართა. ემოციებით აღფრთოვანებულმა ხატიამ ქოლდფლეის სოლისტს კრის მარტინს ვრცელი სამადლობელი წერილი მიუძღვნა.

ამჯერად იგივე ჟესტი თავად კრის მარტინმა გაიმეორა და ჯგუფის ოფიციალურ გვერდზე ქართველი პიანისტის მიმართ მადლიერება საჯაროდ გამოხატა:

— მადლობა ხატია ჩვენი ალბომის გალამაზებისთვის, საოცარი პროფესიონალიზმისა და მაგიური დაკვრისთვის „კალეიდოსკოპის“ დასაწყისში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი, 21 დეკემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 00.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიზაინი" **14.05** მხ/ფ "**სასახლის არომატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01, 02.45** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** "კომუნიკატორი" **00.10** მხ/ფ "**სამხრეთული ამბები**"

**08.00** დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **09.00** მხ/ფ "**მტირალა**" (ჯ.დეპი) **10.30** დ/ფ "ირლანდია" **11.00** ქართ. მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **12.30** დ/ფ "ინდოეთი" **13.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** მხ/ფ "**ვალენტინო**" (ა.მოლინა) **2** სერ. **01.40** მხ/ფ "**რედი**" (ე.მირენი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნიჭიერი (პირდაპირი) **00.00** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი-ეფრემი **06.45** ქართული ალბომი **07.10** დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "არსენას ლექსი" II ნაწ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას **17.20** კონცერტი **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** დ/ფ "ხომლი-ფშავ-ხევსურეთი" I **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** საუკუნის პორტრეტები-კირიონ II **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.20** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მყნოსავი-2**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. შაბლონი, ტრაფარეტი; 9. არაპირდაპირი გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე; 10. დიდი ქვეწარმავალი; 11. ოპტიკური მინა; 13. გაზაფხულის თვე; 15. დგამი; 18. იგავ-...; 21. ხტომისათვის ასასხლეტი მოწყობილობა; 22. სახელმწიფოში საქონლის შეზიდვა-გატანის აკრძალვა; 23. სამკელი იარაღი.

**შვეულად:** 1. თვალსაზრისი; 2. გ.დანელიას ფილმი; 3. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 4. ყველაზე პატარა ზომის საგანი; 7. პირფერი, ცბიერი; 8. ქიმიური ელემენტი; 12. წვრილი ფული ინგლისში; 14. ჩასაბერი საკრავი; 16. ტომრისებრი ბადით აღჭურვილი გემი; 17. ციტრუსების ჯგუფის ტანდაბალი ხე; 19. სასწორი თეფში; 20. ინდოელი ქალის კაბა.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**




დექსალგინი®
დექსკეტოპროფენ ტრომეტამოლი 25მგ
საშეტი
...დაამარცხე ტკივილი!
Дексалгин® саше
25 мг гранулы для приготовления раствора для приема внутрь
Декскетопрофен как декскетопрофена трометамол
BERLIN-CHEMIE MENARINI
რეცეპტის გარეშე
BERLIN-CHEMIE MENARINI
თბილისი 0160, გამრეკელის 19;
ტელ: 224 13 70/71/72; ფაქსი: 224 12 10;
ელ.ფოსტა: geobc@wanex.net
GE_DEX-04.2014_v1_Poster
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს